პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 103 (9571) | პარასკევი, 1 მაისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

# გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

## მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე

დღეს საბჭოთა ხალხი, ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მშრომელნი, მთელი მოწინავე კაცობრიობა დღესასწაულობს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის და ძმობის დღეს — 1 მაისს.

ყოველი წლის პირველ მაისს საბჭოთა ხალხი აჯამებს თავის გამარჯვებებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტზე, ჩვენი ქვეყნის წარმატებებს საერთაშორისო ურთიერთობაში. დღევანდელ დღესასწაულს საბჭოთა ადამიანები ხვდებიან ახალი მნიშვნელოვანი მიღწევებით. განუხრელად იზრდება ჩვენი სახალხო, სოციალისტური მეურნეობა, აღმავლობას განიცდის კულტურის ყველა დარგი. მწყობრში დგებიან ახალი და ახალი საწარმონი. სულ უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კომუნიზმის დიადი მშენებლობანი ვოლგასა და დნეპრზე, ყირიმსა და ყარა-ყუმში, ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა მხარეში.

სოციალისტური ეკონომიკის ზრდასთან ერთად სულ უფრო იზრდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა, მაღლდება მისი კულტურული დონე. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ სოციალისტური წარმოების მიზანია ხალხის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. საბჭოთა მთავრობა, კომუნისტური პარტია განუხრელად ზრუნავენ საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონის ამაღლებისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების სათვალავით უკვე მეექვსე შემცირება ომისშემდგომ პერიოდში.

მაშინ, როცა კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონია მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად, ჩვენს ქვეყანაში, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, პირველ პლანზეა ადამიანი და მისი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება, მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

შესანიშნავი წარმატებებით ეგებებიან მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს ევროპის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკების — პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და უნგრეთის, ბულგარეთისა და ალბანეთის მშრომელები. მხოლოდ სახალხო რევოლუციების შემდეგ საბჭოთა ხალხის ძმური დახმარებით მიიღეს ამ ქვეყნების მშრომელებმა თავისუფალი ადამიანური ცხოვრება. ისინი მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას და სულ უფრო მეტ გამარჯვებებს აღწევენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში. მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს დიდი ჩინელი ხალხი, რომელმაც მოიშორა იმპერიალისტური მონობის უღელი და ახალი, თავისუფალი ცხოვრების გზას დაადგა.

დიდია წარმატებანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებისა, რომლებიც იბრძვიან ერთიანი, დამოუკიდებელი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის, სამართლიანი საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისათვის. გმირულ ბრძოლას ეწევა მამაცი კორეელი ხალხი თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. იზრდება და ფართოვდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

საპირველმაისო დღესასწაული ყველგან ტარდება მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის შემდგომი გაშლის ნიშნით. რაც დრო გადის, მსოფლიოს ხალხთა ფართო მასების შეგნებაში სულ უფრო ღრმად იჭრება მშვიდობისათვის ბრძოლის კეთილშობილური იდეები. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი ამ დიად მოძრაობაში იმედითა და დიდი მადლიერების გრძნობით შეჰყურებს საბჭოთა კავშირს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ ბურჯს. მათ ნათლად ესმით, რომ წინააღმდეგ ამერიკა-ინგლისის რეაქციული მმართველების პოლიტიკისა, რომელიც ახალი მსოფლიო ომისაკენ მიისწრაფის, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მიმართულია ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისაკენ, ახალი ომის წინააღმდეგ, და ერთსულოვნად ირაზმებიან საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გარშემო.

წლევანდელ პირველ მაისს მთელი მსოფლიოს მშრომელები დღესასწაულობენ იმპერიალისტთა სამხედრო მაქინაციების გამოაშკარავების საბრძოლო ლოზუნგით, გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციის საწინააღმდეგო ლოზუნგით, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ფრონტის გაფართოებისა და შემდგომი განმტკიცების ლოზუნგით. მშვიდობისათვის ბრძოლა მსოფლიოს ყველა ხალხის საქმეა. მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას.

თავის ძალებში დარწმუნებული საბჭოთა ხალხი ლენინ — სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელი აღმავლობის გზით მიდის. უსაზღვროა საბჭოთა ხალხის სიყვარული და ნდობა კომუნისტური პარტიისადმი, ურყევია მისი გადაწყვეტილება — პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინ — სტალინის პარტიის დიადი და უძლეველი დროშით კვლავაც მტკიცედ იაროს წინ, კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ.

— გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის დიად წარმმართველ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

— ლენინ — სტალინის დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

## შეჯიბრებაში გამარჯვებულები

**ორთაჭალჰესის** კოლექტივს წელს პირველ კვარტალში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ზედიზედ მერვედ მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, პირველი ფულადი პრემია და აღიარებულ იქნა გამარჯვებულად სსრ კავშირში ჰიდროელექტროსადგურთა მშენებელ კოლექტივებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

**გორის საკონსერვო ქარხანაში** მიიღეს ცნობა, რომ პირველ კვარტალში მოპოვებული საწარმოო მაჩვენებლებისათვის ამ ქარხნის კოლექტივს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიკუთვნებული აქვს მეორე ადგილი.

**თბილისის ავტოსარემონტო სახელოსნოს კოლექტივს** (დირექტორი ა. გოგიშვილი, მთავარი ინჟინერი მ. სიმონიშვილი) პირველ კვარტალში საუკეთესო მუშაობისათვის, ყველა მაჩვენებლის მიხედვით გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტრომ და პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მეორედ მიაკუთვნეს გარდამავალი წითელი დროშა და მიანიჭეს პირველი რესპუბლიკური ფულადი პრემია.

**ხაშურის სავაგონო დეპოს** კოლექტივმა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების განმავლობაში გეგმის გადამეტებით შეაკეთა 16 ვაგონი.

საამაყო მაჩვენებლებით შეხვდნენ 1 მაისს **ბათუმის** მოწინავე საწარმოთა კოლექტივები: ნავსადგურის, მთავარნავთობ გასაღების სამმართველოს და მომთუთიებელი ქარხნის კოლექტივები. ნავსადგურის კოლექტივმა აპრილში ჩქაროსნული წესით განტვირთა და დატვირთა ყველა გემი და ისინი ვადამდე გაუშვა მორიგ რეისში.

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა 4 მაისს.



მოსკოვი. კრემლი.

## მოსკოვი პირველი მაისის წინ

მოსკოვის ამწვანებულ-გაფურჩქნული პარკები, ბაღები, სკვერები, შენობებზე გამოფენილი წითელი ალმები, უჩვეულოდ გამოცოცხლებული ქუჩები — ყოველივე ეს მოწმობს, რომ მოახლოვდა პირველი მაისის დღესასწაული.

პირველი მაისის მოახლოება განსაკუთრებით სრულად იგრძნობა დედაქალაქის საწარმოთა საამქროებში, ახალმშენებლობებზე. ყველგან ჩანს ტრანსპარანტები: „შრომითი წარმატებებით ვუპასუხოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს“, „ახალი საწარმოო მიღწევებით შევხვდეთ 1 მაისის დღესასწაულს“.

ავტომობილმშენებლები და ფეიქრები, მეფოლადეები და დაზგათმშენებლები, მეტროს მიწისქვეშა სახახლეების შემქმნელნი, მაღალი შენობების მშენებლები და მეტალურგები, ტრანსფორმატორთა შემქმნელები ტრადიციულად ხვდებიან დღესასწაულს შრომითი საჩუქრებით. განვლილ კვარტალში გამოშვებულია ბევრი ავტომანქანა, დაზგები, ქსოვილები, ტრანსფორმატორები და სხვა პროდუქცია. საპირველმაისო შრომითი ვახტის დღეებში ოთხი თვის გეგმის ვადამდე შესრულება პირველთა შორის უპატაკეს ქარხანა „დინამოს“, საუკეთესო ხარისხის საწარმოს — კრასნი ხოლმის საფეიქრო კომბინატის კოლექტივებმა. ოთხი თვის დავალება შეასრულეს პირველმა სახელმწიფო საკისარის ქარხანამ და სხვა ქარხნებმა. მოსკოველებს საუცხოო საჩუქარი უძღვნეს მეტროს მშენებლებმა: ამუშავდა მეტროს არბატის რადიუსი. მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს ბევრი ახალი საცხოვრებელი სახლი.

დედაქალაქის წარჩინებულ ადამიანთა სიას ღირსეული სახელები შეემატა. ქარხანა „ბორეცის“ ხარატმა ვ. რაზორენკოვმა სპეციალისტების დახმარებით უმაგალითო გამომუშავებას მიაღწია — ათ ნორმას ცვლაში. მაღალი მშენებლობის მომპირკეთებელმა ნ. ბაცურამ ცვლაში თოთხმეტი მუშის ნორმა შეასრულა. ამ დღეებში ასობით და ათასობით მოსკოველმა გვიჩვენა შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების ნიმუშები.

მოსკოვი ყოველ საათობით სულ უფრო სადღესასწაულო იერს იღებს. საზეიმოდ იკაზმება წითელი მოედანი. მავზოლეუმის პირდაპირ შენობაზე კაცობრიობის გენიოსების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიდი პორტრეტებია. თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკის გერბები განასახიერებენ ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას. წითელ ტრანსპარანტზე წარწერილია სიტყვები:

— ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საღამოს კაშკაშებენ ფერადი ნათურების გირლანდები. ანათებენ ტრანსპარანტები:

— დიდება ლენინ—სტალინის პარტიას!

— გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას!

სადღესასწაულოდ მორთულა დედაქალაქის ცენტრალური მაგისტრალი — გორკის ქუჩა. შენობებზეა რევოლუციის დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პორტრეტები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა პორტრეტები. ყველგან ჩანს ელექტრონათურებით განათებული წითელი ვარსკვლავები.

შორს მოჩანს სადღესასწაულოდ მორთული მაღალი შენობები კოტელნიკის სანაპიროზე, აჯანყების მოედანზე, სმოლენსკის მოედანზე. 1.500 პროჟექტორი ანათებს მეცნიერების სასახლეს ლენინის გორაზე — მოსკოვის უნივერსიტეტის ახალ შენობას. შენობას ყველაზე მაღალ ნაწილს ამშვენებს ი. ბ. სტალინის პორტრეტი.

მოსკოვის მოედნებზე და ქუჩებში მთავრდება ღია ესტრადების აგება. დღესასწაულის დღეებში აქ გაიმართება კონცერტები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს მხატვრული თვითმოქმედების ექვსი ათასზე მეტი წევრი, საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივები, დედაქალაქის თეატრების წამყვანი მსახიობები.

დედაქალაქის მოედნებზე და ქუჩებში პირველი მაისის დღეს აგუგუნდება ორკესტრები. ეს იქნება მასობრივი სეირნობის დაწყების ნიშანი. (საკდესი).

## მოდის მაისი

ისევ მაისი, ისევ მაისი  
სასიხარულო და სასურველი!  
მოდის მაისი, მოდის ხალისით,  
იით, მზითა და ვარდის სურნელით.

მოდის და ყველგან სიცოცხლე მოსჩქეფს,  
ყვავილების და ფოთლების თქეში.  
გახედე დროშებს,  
გახედე დროშებს,  
მაისი მოდის დროშების ტყეში.

მოდის რომ გასდოს ხევებზე ხიდი,  
უდაბნოს მისცეს ზღვის წყალი ლურჯი,  
მოდის, კარს უღებს სამშობლო დიდი —  
ხალხთა ძმობის და მშვიდობის ბურჯი.

მოდის, მის მოსვლას ყველა შეჰხარის,  
რწმენის სიმტკიცით, შრომის ხალისით,  
ეს, კომუნიზმის გზაზე შემდგარი  
მაისი მოდის,  
ჩვენი მაისი!

**გრიგოლ აბაშიძე.**

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1953 წლის 1 მაისი № 49 ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი მთელ ჩვენს ხალხთან ერთად დღესასწაულობენ პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშების ძმობის დღეს.

გილოცავთ პირველი მაისის დღეს და გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენი სამხედრო ოსტატობის სრულყოფაში, ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

დღესასწაულის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, პირველ მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

**სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი**  
**საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ა. ბულგანინი.**

## სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **კ. ე. ვოროშილოვმა** ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთა დიდ ჯგუფს.

ლენინის ორდენი გადაეცა საბჭოთა კავშირის მარშალს ს. მ. ბუდიონს, რომელიც დაბადებიდან 70 წლის შესრულების დღეს დაჯილდოებულია საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე თვალსაჩინო სამხედრო დამსახურებისათვის. ამხ. ვოროშილოვმა გულითადად მიულოცა მარშალს მაღალი ჯილდო და უსურვა ახალი წარმატებანი. დამსწრეებმა მხურვალე ტაშით დაუჭირეს მხარი ამ სურვილს.

საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის ორდენები და მედლები გადაეცა საბჭოთა არმიის გენერლებისა და ოფიცრების მრავალრიცხოვან ჯგუფს. დაჯილდოებულთა შორის არიან გენერალ-ლეიტენანტები პ. ფ. ბატიცკი და ლ. ა. პერნი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტები საბჭოთა კავშირის გმირი ა. ს. ბლაგოვეშჩენსკი და საბჭოთა კავშირის გმირი ვ. გ. გრაჩოვი, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტები ი. პ. ბაჟანოვი და საბჭოთა კავშირის გმირი გ. ვ. პოლუექტოვი, საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი ბ. ვ. ბიჩევსკი, საბჭოთა კავშირის გმირები გენერალ-მაიორი პ. ფ. ზარეცკი, ავიაციის გენერალ-მაიორი ვ. ვ. ზელენცოვი, ავიაციის გენერალ-მაიორი გ. ვ. ზიმინი, პოლკოვნიკი ფ. ვ. აკულიშნინი და პოლკოვნიკი ვ. ა. კაშირკინი.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ გენერალ-მაიორი ა. ე. ხალეზოვი და პოლკოვნიკი ა. ნ. კუზნეცოვი.

ამხ. **კ. ე. ვოროშილოვმა** გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულ გენერლებსა და ოფიცრებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის ორდენებისა და მედლების მიღება. რის შემდეგ მიმართა მათ მოკლე სიტყვით, რომელიც დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

— აშენებენ რა ჩვენი ქვეყნის უზარმაზარ ტერიტორიაზე ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას, თქვა ამხ. ვოროშილოვმა, საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებდნენ და ახორციელებენ მშვიდობის ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას, ხალხთა თანასწორუფლებიანობის, მეგობრობის და მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების საქმეში სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის პოლიტიკას.

სოციალისტური სამშობლოს მთელი ისტორიის მანძილზე ჩვენი შეიარაღებული ძალები, რომლებიც იცავენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, არასოდეს არავის არ დამუქრებიან და არავის არასოდეს თავს არ დასხმიან. მართალია, საბჭოთა არმია არაერთგზის ყოფილა იძულებული ეხმარა იარაღი, მას არაერთხელ მაგრადაც უცემნია მტრებისათვის, მაგრამ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა მტრები თავს ესხმოდნენ ჩვენს სამშობლოს, წყვეტდნენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შრომას. და ახლა ჩვენი შეიარაღებული ძალები დგანან ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების საგუშაგოზე, ისინი არავის არ ემუქრებიან და არ აპირებენ თავს დაესხან ვისმე. ასეთია საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებული ძალების ბუნება, თქვა ამხ. ვოროშილოვმა, ასეთია ჩვენი საბჭოთა არმიის ტრადიციები. სწორედ ამ ტრადიციებით, ლენინ — სტალინის პარტიის დიადი იდეებისა და თავიანთი სამშობლოს უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით უნდა აღვზარდოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა.

დასასრულ ამხ. **კ. ე. ვოროშილოვმა** დაჯილდოებულ გენერლებსა და ოფიცრებს უსურვა შემდგომი წარმატებანი მათს მუშაობაში. (საკდესი).

## მარგანეცისა და ჭიათურის მაღაროელთა შეჯიბრება

მარგანეცი (დნეპროპეტროვსკის ოლქი), (საკდესი). ნიკოპოლ-მარგანეცის აუზის შახტები სადღესასწაულოდ ირთვება. წითელ ტილოებზე აღბეჭდილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი. ბევრ ურნალზე ანთია წითელი ვარსკვლავი — მაღაროელთა შრომითი სიმამაცის ნიშანი.

დღეს წითელი ვარსკვლავი აინთო მაქსიმოვის სახელობის მაღაროს № 26 შახტზე, რომელმაც ვადამდე შეასრულა ოთხი თვის პროგრამა. მთელი სამთამადნო ციკლის მიხედვით მაღაროელები ყოველდღიურად იღებენ დაპროექტებულ სიმძლავრეზე 300 ტონით მეტ მადანს.

საპირველმაისო შეჯიბრებაში მოპოვებული გამარჯვებანი კოლექტივმა აცნობა ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროს მაღაროელებს, რომლებსაც ის ეჯიბრება.

უკრაინისა და საქართველოს მაღაროელთა საწარმოო მეგობრობას შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს. როცა მაქსიმოვის სახელობის მაღაროს შახტებში დაინერგა მადნის მონგრევის ციკლური გრაფიკი, რამაც შესაძლებელი გახადა შრომის ნაყოფიერების თითქმის ერთიორად გადიდება, მაღაროელებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს ქართველ ამხანაგებს. ამას წინათ მათ მიიღეს წერილი, რომლითაც ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი მადლობას უთვლის შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში გაწეული დახმარებისათვის. ახლებურად მუშაობით მან მნიშვნელოვნად გაადიდა მადნის ამოღება.

უკრაინელმა მაღაროელებმა ჭიათურაში გაგზავნეს ნახაზები სანგრევ-სატვირთავი მანქანისა, რომელიც შექმნეს დნეპროპეტროვსკელმა მეცნიერებმა და მაღაროს სტახანოველებმა. ახალი მანქანის საშუალებით მექანიზებულია მარგანეცის გამოღება და გამოზიდვა. ქართველ მაღაროელებს გადაეცათ აგრეთვე გამაუხვებელ ფაბრიკებში მაგნიტური სეპარატორებით მართვის ახალი სისტემა, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გადიდდეს პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

ქართველ მაღაროელებთან რეგულარული მიწერ-მოწერა აქვს ბევრ სტახანოველს. მნგრეველმა დ. პანკეევმა, რომელიც ლენინის სახელობის მაღაროს სტახანოველ დ. კილაძეს ეჯიბრება, გვაცნობა, რომ საპირველმაისო შეჯიბრების დღეებში მან ამოიღო ორი ეშელონი მარგანეცი. 1.200 ტონაზე მეტი მარგანეცი ამოიღო გეგმის გადამეტებით ი. სკატოვმა, რომელიც ქართველ ამხანაგ შ. ვაშაკიძეს ეჯიბრება.

უკვე მაისის ანგარიშში იღებს მადანს ნიკოპოლ-მარგანეცის აუზის ოთხი შახტი.

## მარტენის ღუმელთან

**წერილი რუსთავიდან**

აქ თითქოს ყველაფერი გუგუნებს, დუღს, იწვის...

გუგუნებენ ფოლადსადნობი ღუმელები. ფანჯრებიდან ამოწვერილი ალის ენები ელამუნებიან მარტენის კედლებს.

კივილით მოჰქრის კაზმით დატვირთული მატარებელი...

ზარის რეკვით გადაიარა ხიდურა ამწემ.

მძვინვარე ცეცხლის შუაგულში გრუხუნით შეიტანა ჯართით სავსე მულდი ჩამტვირთავმა მანქანამ, სწრაფად გადააპირქვავა — ასე მტერი დაგეცალოთ, და უკან დაიხია...

მეფოლადის თანაშემწეებს მიაქვთ სინჯები ლაბორატორიაში.

სტვენით ანიშნებენ ერთმანეთს ხმაურისაგან სმენადახშული ადამიანები თავიანთ სათქმელს.

ბობოქრობს ცეცხლი ღუმელებში, ღუმელებთან კი შემოქმედებითი შრომის ცეცხლით იწვიან ადამიანები.

ხმაურისა და მოძრაობისაგან ზანზარებს ყველაფერი, თითქოს მიწა ირყევა ფეხქვეშ. ამ ორომტრიალში ფოლადმდნობელები დინჯად, მტკიცედ აკეთებენ თავიანთ საქმეს, ყველაფერი გეგმაშეწონილად, გრაფიკის მიხედვით მიდის.

დიდი ქარხნის თვითეულ უბანზე მძლავრად ჩქეფს ცხოვრება. ახალი სრულყოფილი ტექნიკითა და მაღალკვალიფიციური ადამიანების თავდადებული შრომით სუნთქავს ყოველი საამქრო. მაგრამ არსად ისე მძლავრად არ იგრძნობა ინდუსტრიის აჩქარებული მაჯისცემა, როგორც აქ, ფოლადსადნობ ღუმელებთან.

... ცვლის უფროსს ა. იოხვიდოვიჩს წითელ კუთხეში თათბირი აქვს, ცვლის ამოცანას აცნობს მეფოლადეებს. ღამის 12 საათზე შეუდგებიან მუშაობას, მიიღებენ ღუმელებს ს. შეხავცოვის ცვლის მეფოლადეებისაგან. სანამ თათბირზე მოვიდოდნენ, უკვე გაეცნენ ღუმელების მდგომარეობას — დაფას შეხედეს, როდის ჩაიტვირთა ღუმელი, რა დროს უნდა იყოს მზად ფოლადი. გაიაზრეს, თუ როგორ წარმართონ დნობა.

იწყება ახალი სამუშაო დღე — 27 აპრილი, ღირსსახსოვარი თარიღი ქართველი ხალხის ცხოვრებაში: სამი წლის წინათ ამ დღეს რუსთავის მეფოლადეებმა მიიღეს პირველი ქართული ფოლადი. ეს იყო პირველ ღუმელზე, ლითონს ვასილ ბულგაკოვი ადნობდა. პირველ თანაშემწედ შ. კუხალეიშვილი მუშაობდა...

კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს სამუშაო დრო ა. იოხვიდოვიჩის ცვლის მეფოლადეთა ბრიგადებმა.

დღის ცვლაშიც იმ პირველ ღუმელთან კვლავ შალვა კუხალეიშვილი იდგა. მაგრამ ახლა უკვე დიდი პრაქტიკული და თეორიული ცოდნით გამდიდრებული, მომწიფებული ოსტატი, სახელოვანი ნოვატორი. მას შემდეგ იგი გაიზარდა, დავაჟკაცდა, საკუთარი სკოლაც კი შექმნა. და განა მარტო ერთი ასეთი მეფოლადე აღიზარდა აქ?

— ჩემთან მესამე თანაშემწედ გრიგოლ სეფისკვერაძე მუშაობდა,—თქვა კუხალეიშვილმა, — ახლა იგი დამოუკიდებელი ფოლადმდნობელია — ოდნავ შეჩერდა, მერე გულკეთილად გაიღიმა და განაგრძო, — მეჯიბრება, მარტში კინაღამ გამასწრო კიდეც. — თავი გაიქნია, თითქოს ფიქრობდა — რამდენად შორს წავედით, როგორ გამოვიცვალეთო. სათვალე ჩამოიწია, სარკმელში შეიხედა.

თუმცა ოსტატისა და შეგირდის ასაკს შორის დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ შალვას ამ სიტყვებში დიდ სიყვარულთან ერთად იგრძნობოდა აღმზრდელის სიამაყე.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგ შედეგებს მიაღწია მეოთხე კომკავშირულმა ღუმელმა. იმ დღით მას ზურაბ კვახაძის ბრიგადა ემსახურებოდა. ზურაბს კი ვლადიმერ ჭაბაშვილმა გადასცა ღუმელი. როცა გადაბარების ჟურნალში ხელს აწერდნენ, ჭაბაშვილმა უთხრა:

— ზურაბ, შენ იცი, ჩქაროსნული უნდა გამოვიდეს.

— იმედი გქონდეს, — ანუგეშა კვახაძემ.

აპრილში კვახაძეს ნორმა 116 პროცენტით ჰქონდა განაღდებული და მხოლოდ ერთი ჩქაროსნული დნობით ჩამორჩებოდა შ. კუხალეიშვილის მეწყვილეს ამირან ფანცულაიას, რომელმაც რვა ჩქაროსნული დნობა განახორციელა, თუმცა იმ თვეში დნობის სარეკორდოთ მცირე დრო ისევ კვახაძეს ეკუთვნოდა — 8 საათი და 15 წუთი.

... ჩამოსასხმელ მალში ამწემ ბზრიალის მსგავსი უზარმაზარი ციცხვი მოაქანა და მეოთხე ღუმელის გასწვრივ დადგა. კვახაძე ვლადიმერ ჭაბაშვილის დაწყებულ ნადნობს უშვებდა. 9 საათი და 35 წუთი — ასეთი იყო დნობის დრო.

იმ ცვლაში შალვა კუხალეიშვილმაც და ნიკოლოზ გრეჩიხმაც ჩქაროსნული დნობა განახორციელეს. ოცდაოთხ საათში კი სულ ხუთი ჩქაროსნული დნობა მისცეს მეფოლადეებმა.

დღეღამის განმავლობაში სამჯერ შეცვალეს ბრიგადებმა ერთმანეთი. მაგრამ სამივე ცვლაში ღუმელებთან, მართვის პულტებთან, მექანიზმებთან იდგნენ სახეანთებული, ყურადღებით დაძაბული, ქუდზე ლურჯსათვალედამაგრებული მეფოლადეები, ისევ მძვინვარებდნენ მარტენები, საკაზმე ეზოსა და საამქროს შორის კვლავ კივილით დაჰქროდნენ გრძელშემადგენლობიანი ორთქლმავლები, გრუხუნით იტვირთებოდა კაზმი ღუმელში, ისევ დაარბენინებდნენ სინჯს ანალიზისათვის მეფოლადის თანაშემწეები. ამზადებდნენ ასოცდაათტონიან ციცხვს მორიგი ფოლადის მისაღებად ჩამომსხმელები.

...საგეგმო-გამანაწილებელი ბიუროს მონაგარიშე გოგონა მეორე დღეს გამალებით შლიდა საამქროს მაჩვენებლების გრაფებად დახაზულ დიდ დაფას. დღის ცვლამ დაამთავრა მუშაობა, საღამოსი კი — იწყებდა, ამიტომ ბევრმა მეფოლადემ მოიყარა თავი აქ, ყველას აინტერესებდა გუშინდელი შედეგი. ვერც კი ასწრებდნენ დაკვირვებას, გოგონას ისე სწრაფად გამოჰყავდა დაფაზე ცარცით ციფრები. იქ, სადაც აღნიშნული იყო: „სადღეღამისო დავალება“ — 113 პროცენტი ჩაიწერა.

— არა უშავს! — წამოიძახეს მეფოლადეებმა. ზოგი ოპერატიულ თათბირზე გაეშურა, ზოგი კი ახალი წარმატებების მოსაპოვებლად შეუდგა მუშაობას.

ლითონის ჩონჩხის გაშლილ ფრთებს ქვეშ შეუფარებია თავი სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ფოლადსადნობ საამქროს. ზევით კი ცადაზიდული კვამლსადენები დინჯად, დარბაისელი მოხუცის ჩიბუხივით ბოლავენ. მოყვითალო-ვარდისფერი ნაზი კვამლი ერევა ცას და უმალ უჩინარდება...

**ს. ხარაზიშვილი.**



რ უ ს თ ა ვ ი. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ჩქაროსანი მეფოლადეები შალვა კუხალეიშვილი (მარჯვნივ) და ზურაბ კვახაძე მარტენის ღუმელთან.

ფოტო ვ. ზარიძისა.

## საპირველმაისო საჩუქრები

### გორელთა წვლილი

**გ ო რ ი.** კოლმეურნეები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ახალი საწარმოო საჩუქრებით ეგებებიან 1 მაისს. გორელებმა გააშენეს 70 ჰექტარი ახალი ხეხილის ბაღი, სიმეჩხრის აღმოფხვრისათვის გამორგეს რამდენიმე ათასი ძირი ნერგი, დაიწყეს შაქრის ჭარხლის ნათესების გაფხვიერება.

### იზრდება მწვანე ჯეჯილი

**წ ი თ ე ლ წ ყ ა რ ო.** კოლმეურნეები და მექანიზატორები შეჰხარიან კოლექტიური შრომით შექმნილ 47 ათას ჰექტარზე მობიბინე ჯეჯილს. წითელწყაროელებმა მთლიანად დაამთავრეს საშემოდგომო პურეულის ნათესის გამოკვება და დაფარცხვა, გაახალეს მარგვლა და მზესუმზირას თოხნა.

გამარჯვების მტს-მა ვადამდე შესრულა საგაზაფხულო თესვის გეგმა. 1 მაისისათვის გეგმის გადამეტებით 200 ჰექტარი სიმინდი დათესა. ი. დათუკაშვილის სატრაქტორო ბრიგადა ყოველდღიურ სამუშაო ნორმას ორმაგად ასრულებს.

### გატეხილი ყამირი

**ს ტ ა ლ ი ნ ი რ ი.** სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობაში გატეხილ ყამირზე გულისგამახარებლად ბიბინებს ჯეჯილი.

ხშირი ბუჩქნარითა და ძეძვნარით დაფარულ ფართობს, სოფელს სამხრეთ-აღმოსავლეთით რომ აკრავს, მძლავრად შეეჭიდა მანქანა, რომელსაც გამოცდილი, ტექნიკას დაუფლებული ტრაქტორისტი მიხეილ გავრილოვი მართავს.

მ. გავრილოვის თანაშემწემ, მიმბმელმა ივანე ჩიკარენკომ ხეთაგუროველებს გაუმხილა თავისი უფროსის გულისნადები:

— სამაისოდ ოთხ ჰექტარ ყამირს გატეხს!

ტრაქტორისტის დასახმარებლად მოვიდნენ კოლმეურნეები. შეთანხმებულმა შრომამ დააჩქარა საქმე. ძეძვნარმა უკან დაიხია, მდიდარ ნიადაგს მოაშორა თავისი ფესვები. ოთხი ჰექტარი ახალი მიწა სოფლის სამსახურში ჩადგა. გატეხილ ყამირზე ახალი სიცოცხლე იწყება...

### ახალი ჰექტარები

**ს ი ღ ნ ა ღ ი.** ტიბაანის მტსის სატრაქტორო ბრიგადამ (ხელმძღვანელი გ. ხატიაშვილი) სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა 169 პროცენტით გაანაღდა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტრაქტორისტი ელენე ნატროშვილი, ტრაქტორისტები ა. ხატიაშვილი, გ. ქადაგიძე სამუშაო ნორმებს გადამეტებით ასრულებენ. მ. კიკილაშვილის სატრაქტორო ბრიგადამ მარტ-აპრილში 120 ჰექტარი ახალი მიწა აითვისა, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 80 ჰექტარისა, დიდი გადაჭარბებით შესრულა მზესუმზირას, სიმინდის თესვის გეგმა.

### გეგმის გადამეტებით

**ბ ა თ უ მ ი.** მოწინავე კოლმეურნეობებმა დაამთავრეს სიმინდის თესვა. მახინჯაურის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ა. ახვლედიანი ბეჯითად შრომობს, რომ ჰექტარზე მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 16.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. მერგოლური ნ. მახარაძე ჩაის უხვი მოსავლის ოსტატია. საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების გაფორმებისას მან იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 6.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამ ვალდებულების შესასრულებლად მახარაძე გულმოდგინედ უვლის ჩაის თვითეულ ბუჩქს.

## თბილისის რკინიგზელთა ღამის სანატორიუმში

თბილისში, ჩვენი დედაქალაქის საბჭოს ქუჩაზე სამსართულიან შენობაში მოთავსებულია თბილისის რკინიგზის კვანძის რკინიგზელთა ღამის სანატორიუმი. სანატორიუმში მუშა-მოსამსახურეები მიდიან მუშაობის შემდეგ და მთელ ღამეს აქ ატარებენ. აქ მათთვის მოწყობილია კარგი კვება, სამედიცინო დახმარება, გართობა. ღამის ცვლის მუშა-მოსამსახურეები ისვენებენ მუშაობის დამთავრების შემდეგ.

სანატორიუმმა 7 წლის არსებობის მანძილზე მომსახურება გაუწია 4.400 რკინიგზელს. მარტო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აქ მკურნალობა გაიარა 212 კაცმა.

სანატორიუმში წარმოებს სპეციფიკური მკურნალობა. გამოცდილების გაზიარების მიზნით აქ მოდიან დედაქალაქის ღამის სანატორიუმების სამედიცინო მუშაკები.

## დიდი ველი

**წერილი შირაქიდან**

კიდევ ერთი პირველი მაისი. ადამიანთა სიხარულისა და სოლიდარობის კიდევ ერთი დიდი დღე, კიდევ ერთი გაზაფხული, — უხვი მზით გაბრწყინვებული, ჯეჯილებით გადამწვანებული, ბაღ-ვენახებით აფერადებული, ჩანჩქერებითა და მდინარეებით ახმაურებული, ბედნიერი საბჭოთა ხალხის სიცოცხლით ამღერებული.

როგორ არა ჰგავს წლევანდელი პირველი მაისი შარშანდელს. კიდევ უფრო გაძლიერდა და გაიზარდა ჩვენი ქვეყანა. ახალი და ახალი შრომითი წარმატებებით ვხვდებით დღევანდელ დღეს. შრომამ განგვადიდა, გაგვაძლიერა და აგვამაღლა, გაგვხადა უძლეველი, ჩაგვაყენა მშრომელი კაცობრიობის ავანგარდში.

„ქვეყანა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა“... — წერდა დიდი ილია.

ჩვენი ხალხი შრომას ყველაფერზე მაღლა აყენებდა, ჩვენს დროში შრომამ კიდევ უფრო დიდი პატივი და ღირსება მოიპოვა.

პირობას ვდებთ წელს შარშანდელზე მეტი პური მოვიყვანოთო — აიღეს ვალდებულება საქართველოს პურის ბეღლის — წითელწყაროს რაიონის სახელმოხვეჭილმა კოლმეურნეებმა. და ახლა ისინი სიამაყით უპატაკებენ სამშობლოს, მთავრობასა და მშობლიურ პარტიას, რომ წელს 12.000 ჰექტარით მეტი მარცვლეული დათესეს, ვიდრე შარშან. წითელწყაროელთა საქმე საყურადღებოა იმითაც, რომ ისინი არ დასჯერდნენ თავიანთ გაზრდილ ვალდებულებას: გადაწყვეტილი ჰქონდათ წელს 43.000 ჰექტარი მარცვლეული დაეთესათ და 47.000 ჰექტარი დათესეს.

ადრე გაზაფხულზე გავიდნენ მთესავები მინდვრად, ყოველ კიდით მოედვნენ მუხლუხებიანი მძლავრი „სტალინეცები“ დიდსა და პატარა შირაქის ველს, ზილიჩას, ბურდოს და ტარიბანის ვრცელ მინდვრებს. დღე და ღამე არ წყდებოდა მათი გუგუნი. ოთხი და ხუთი სათესი მანქანაება თვითეულ ტრაქტორს, მხარგანივრად გაჰქონდათ კვალი.

აი რა დიდ სამსახურს უწევენ ჩვენი ძლიერი მანქანები კოლმეურნეებს, რამდენ მუშახელს ათავისუფლებენ, რამდენ დროს იგებენ და ზოგავენ, რამდენად აადვილებენ ადამიანის შრომას და რამდენად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. შარშან ერთ ტრაქტორს ოთხი და ხუთი სათესი მანქანა არ ჰბმია, ერთი ტრაქტორი ოცი მეტრი სიგანის კვალს არ თესდა. წელს ჩვენ დღეში ერთი ტრაქტორით ოთხმოც და ას ჰექტარს ვთესავთ. მომავალ გაზაფხულზე უფრო მეტს დავთესავთ, ჩვენი კვალი კიდევ უფრო განიერი იქნება.

შარშანწინ წითელწყაროს რაიონს ორი მანქანა-ტრაქტორთა სადგური ჰქონდა, წელს ოთხი აქვს. რაიონში რამდენიმე ასეული ტრაქტორი და ორასი კომბაინი მუშაობს.

შირაქში წლევანდელი გაზაფხული იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ მარცვლეული მთლიანად მანქანებით დაითესა. მექანიზებულმა შრომამ დიდი ნაყოფი გამოიღო — რაიონის რამდენიმე კოლმეურნეობამ ხუთ-ექვს დღეში მოათავა თესვა. განსაკუთრებით ჩქარი ტემპით და მაღალი ხარისხით ჩაატარეს თესვა ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ და მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ.

მარტო იმით როდი აღინიშნება შირაქელთა წლევანდელი გაზაფხულის წარმატებანი, რომ გაძლიერდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ტექნიკა, ამაღლდა სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურა, კოლმეურნეთა ოსტატობის დონე.

შარშანწინ რაიონის უმეტეს კოლმეურნეობებში სასუქი ისე შეჰქონდათ ფართობებში, რომ გამოკვლეული არ იყო მიწის თვისება და შემადგენლობა. სასუქი თუ არ არგებს, არ წაახდენს ყანასო, ფიქრობდნენ, და საჭირო იყო თუ არა, მაინც შეჰქონდათ როგორც მინერალური, ისე ორგანული სასუქები. გარდა იმისა, რომ ზედმეტი სასუქი ზიანს აყენებდა მოსავალს და ხშირად კიდევაც ღუპავდა ყანას, ეს იწვევდა ზედმეტ ხარჯებს, ზედმეტ შრომას.

ახლა რაიონის რამდენიმე კოლმეურნეობას აქვს ნიადაგის საკვლევი აგროლაბორატორია და ჰყავს კარგი სპეციალისტები. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობები წელს დამატებით ასეულ ათას ფუთ პურს მოიყვანენ.

ამ გაზაფხულზე ზურმუხტოვანი ხალიჩებით დაფარულია არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ველები, მინდვრები და მთის კალთები, მუქმწვანედ ლივლივებს დოლის პურის, ზანდაურისა და დიკას ჯეჯილი დასავლეთ საქართველოს დაბლობებზე, ჭალებსა და ფერდობებზე.

მეოთხე წელიწადია საქართველოს კოლმეურნეები, მექანიზატორები, აგრონომები და მეცნიერები დაუღალავად იბრძვიან პურის ახალი ჯიშის დანერგვისათვის, ახალი მიწების ათვისებისათვის. წითელწყაროელი კოლმეურნეები ამ ბრძოლაში მოწინავენი არიან. ისინი ყოველ წელიწადს საშემოდგომო და საგაზაფხულო ხვნა-თესვას, მკას, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას პირველნი ამთავრებენ. აქ უხვი მოსავალი არა მარტო ცალკეულ პატარა ნაკვეთებზე მოჰყავთ. რაიონის კოლმეურნეები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ უხვი მოსავალი მოიყვანონ დიდ მასივებზე.

მთელი თავისი სილამაზით ბრწყინავს დღეს ქედებით შემოჯარული შირაქის დიდი ველი. ქედები არსად არ შორდებიან ერთმანეთს, ერთმანეთს აგრძელებენ და თითქოს კედლად არტყიან შირაქის მწვანე ზღვას. აი შუა მთის ქედი, ქვემო ქედი, არხილოს ქედი, ზემო ქედი, ჩანკაანის ქედი, ნავთების ქედები. ლივლივებს მზის შუქზე ქედებშემორტყმული მწვანე ხავერდი, ამ თვალგადაუწვდენელ სიმწვანეში შავად ბზინავს საგაზაფხულო ნახნავები. კიდევ რამდენიმე დღე, და ისინიც ამწვანდება და მთელი შირაქი ერთ დიდ ზურმუხტის ველად გადაიქცევა.

წარმატებებს დაძაბული შემოქმედებითი შრომით აღწევენ. მხოლოდ თავდადებული შრომით და ბრძოლით შეგვიძლია მოვიპოვოთ ახალ-ახალი გამარჯვებები იმ ამოცანების განხორციელებაში, რომლებიც სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის დასახულია კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის დირექტივებში, საპირველმაისო მოწოდებებში.

ჩვენი ქვეყნის დაუძლეველი სიძლიერის შეგნებით, ჩვენი მართალი საქმის გამო სიამაყით გავდივართ დღეს პირველი მაისის საერთაშორისო დღესასწაულზე. დღეს ჩვენი ნაბიჯები კიდევ უფრო მტკიცეა, ჩვენი გზა კიდევ უფრო ნათელია — ეს გზა კომუნიზმის გზაა. სულ წინ და წინ ამ გზით!

**ვ. ჩიქოვანი.**

# ს ა ბ ჭ ო თ ა ა დ ა მ ი ა ნ ი

ის ფიქრობს, განიცდის, მეტყველებს, აზროვნობს, ის — ადამიანი — უმაღლესი ქმნილება ბუნებისა.

ჰაერი და წყალი, მზე და სინათლე, მიწა და მისი სიკეთენი ადამიანისათვის გაჩენილა და ადამიანისავე სამსახურში ჩამდგარა.

ადამიანი მოაზროვნე, ადამიანი შემოქმედი, ადამიანი მფლობელი და განმკარგულებელი, მძლეველი და დამმორჩილებელი ბუნების ძალებისა... ადამიანი! — არაფერი ამ ქვეყნად ისე ამაყად არ ჟღერს, როგორც ეს სახელი.

ბუნებას მისთვის მიუმადლებია ცოცხალ სამყაროში უმაღლესი, ურთულესი და უფაქიზესი თვისებანი — გონება და ნიჭი, აზროვნების უნარი და განცდები, სიხარულისა და მწუხარების, იმედისა და შიშის, რწმენისა და ურწმენობის გრძნობები, გრძნობათა შორის ყველაზე მაღალი — სიყვარულის გრძნობა, სიყვარულისა, რომელიც სიკვდილსაც კი ამარცხებს.

ადამიანი გაჩენილია ბედნიერებისათვის და იგი მოწოდებულია დათრგუნოს ყველა ბოროტი ძალა ამ ბედნიერებისათვის ბრძოლის გზაზე. სიხარულმა სძლიოს მწუხარება, იმედმა — შიში, რწმენამ — ურწმენობა, სიცოცხლემ — სიკვდილი, — აი ადამიანის არსებობის აზრი.

დიდი სამამულო ომი. მრისხანე ოთხი წელი. ფრონტი. სიცოცხლისა და სიკვდილის მიჯნა. გვახსოვს: კვდებოდნენ გმირები, რომ სიკვდილი დაემარცხებინათ, კვდებოდნენ გმირები იმ უმაღლესი არსებისათვის, რომელსაც ადამიანი ჰქვია, იმ უმაღლესი და უფაქიზესი გრძნობით გულში, რასაც სიყვარული ჰქვია, ადამიანისა და სამშობლოს სიყვარული ჰქვია. კვდებოდნენ გმირები, რომ დღეს ღამე დაეთრგუნა, სინათლეს — სიბნელე, თავისუფლებას — მონობა, რომ ადამიანს ეცოცხლა, ადამიანს გაემარჯვა.

უბრწყინვალესი მოვლენობა,—წერდა მაქსიმ გორკი, — იყო ამ ქვეყნად ადამიანი. ადამიანის უმაღლესი დანიშნულების ღრმა გრძნობა აღზარდა პარტიამ ხალხში. განა ადამიანის უმაღლესი დანიშნულების ღრმა გრძნობა არ უკარნახებდა ალექსანდრე მერესიევს— ჩაედინა უმაგალითო გმირობა. და განა ადამიანისათვის პარტიის ზრუნვამ, საკუთარი ძალებისადმი ღრმა რწმენამ არ აამაღლა ალექსანდრე მერესიევი და არ დაამარცხებინა სიკვდილი, კვლავ არ ჩააყენა ადამიანისა და ხალხის სამსახურში? განა ადამიანის ბედნიერებას, ადამიანის სიცოცხლეს არ ემსხვერპლა გრიგოლ სხულუხია, სიმღერით რომ იწვოდა ფაშისტი ჯალათების დანთებულ კოცონზე? განა ამავე უმაღლეს მიზანს — ადამიანის ბედნიერებისათვის ბრძოლას არ შეეწირნენ ზოია კოსმოდემიანსკაია და ზოია რუხაძე — ფაშისტებისაგან ნაწამები გმირი ქალიშვილები? განა ადამიანის ბედნიერებისათვის ბრძოლამ არ გახადა საქვეყნოდ ცნობილი უკრაინელი მარიამ დემჩენკო და ქართველი სოფიო მარიდაშვილი?

გაზაფხული. მაცოცხლებელი ნიავი. ცხოველმყოფელი მზის სხივები. ზეიმი — ბუნებისა და ხალხის ზეიმი — ასეთია მაისი ჩვენს უსაყვარლეს დედასამშობლოში, ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში, სადაც ხალხი ძლევამოსილად აშენებს კომუნიზმს, რომლის ელვარე მწვერვალები გზას გვიშუქებს.

ამაყად, წელგამართული დადის საბჭოთა ადამიანი მშობლიურ მიწაზე — ადამიანი — თავისუფალი, ბატონ-პატრონი საკუთარი თავისა, მჭედელი თავისი ბედნიერებისა, თავისი კიდევ უფრო უკეთესი მომავლისა.

ადამიანი!—მძლავრად, ამაყად ჟღერს ეს სახელი ჩვენს ქვეყანაში.

ადამიანი! — ყველაფერზე მაღლა დგას ეს სახელი ჩვენში.

ყველაფერი ადამიანშია, ყველაფერი ადამიანისთვისაა. ამიტომ არის იგი ბედნიერი, ამიტომ აქვს აზრი მის სიცოცხლეს, მის არსებობას და ცხოვრებას.

არაფერს არ ძალუძს წაართვას მას ის, რაც დიდი ოქტომბრით მოუპოვებია, რაც სტალინური ხუთწლედებით დაუმკვიდრებია. ვერაფერი ვერ წაართმევს მას იმ უკეთეს მერმისს, რომელიც ლენინისა და სტალინის დიადი პარტიის იდეებით გაშუქებულია, ვერაფერი ვერ შეაჩერებს მის სვლას კომუნიზმისაკენ.

დღეს — ბედნიერ, ხალისიან შრომაში შემოთენებულ საზეიმო დღეს — გაზაფხულის მაცოცხლებელი მზის სხივები დამატკბობლად დაჰქათქათებს მას. შრომა — თავისუფალი, ხალისიანი შრომა ხდის მას ბედნიერ არსებად. შრომაშია მისი სიხარული, შრომაშია მისი ბედნიერი აწმყო და კიდევ უკეთესი მომავალი. დღევანდელი შრომა არა ჰგავს წარსულისას — წყეული წარსულისას, არც იმ შრომას, რომლის მძიმე უღელქვეშ თავი დაუღუნავს და წელში მოხრილა კაპიტალისტური სამყაროს ბედშავი ადამიანი. ეს შრომა — წალკოტად ქცეული უწინდელი უდაბნოებია, შეერთებული მდინარეებია, ადამიანის ხელით შექმნილი მოლივლივე ზღვებია, ილიჩის ნათურების წყარო — ახალი მძლავრი ჰესებია, დიდი სამამულო ომის ცეცხლისა და ფერფლისაგან აღმდგარი განახლებული, აღორძინებული ქალაქები და სოფლებია, დღეს ტყით დაფარული გუშინდელი თვალუწვდენელი, ხრიოკი, ქარის სათარეშო ველებია, ეს შრომა — ჩვენი სკოლების ზარების წკრიალია, ჩვენი ბავშვების ჟრიამული და კისკისია, ეს შრომა — მშვიდობა და ბედნიერებაა, ეს ჩვენს კონსტიტუციაში ფიქსირებული შრომაა — თავისუფალი შრომა, ღირსებისა და სახელის საქმედ ქცეული შრომა. ასეთი შრომის უფლებისათვის ჩვენს წინაპრებს სისხლი უღვრიათ. ამ სისხლით არის შეფერილი ჩვენი დროშები — მრავალ ქარიშხალგამოვლილი, მრავალ ცეცხლში გამოტარებული, ამაყად და ძლევამოსილად მოფრიალე წითელი დროშები. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს დაგვახრევინოს ეს დროშები, რომლებიც დღეს ჩვენს ხალხს კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით კომუნიზმის კარიბჭესთან მიუტანია.

... არაფერი არ იწვევს ჩვენში ისეთ სიხარულს, როგორც ადამიანის დაბადება. ადამიანი გამთბარია მზითა და სიყვარულით, ადამიანისავე სიყვარულით. ადამიანის ბედნიერებას ემსახურება ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი. ადამიანი გარემოსილია საყოველთაო სიყვარულითა და ზრუნვით. ადამიანის ბედნიერება, ხალხის კეთილდღეობა და ბედნიერება, — აი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი მიზანი. ადამიანისადმი უგულითადესი და მშობლიური სიყვარულის გრძნობით აღზარდეს კომუნისტური პარტია ხალხთა დიდმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა. ადამიანის სიყვარულით არის გამთბარი საბჭოთა კავშირის განუხრელი სამშვიდობო პოლიტიკა.

... ადამიანი დაიბადა, ქუდი მოიხადეთ! — ამბობს გორკის გმირი.

იყო დრო — ტრაგედიად ითვლებოდა დაბადება. ჩვენს ეპოქაში ბედნიერებაა დაბადება.

ის დაიბადა. მან პირველად აახილა თვალი, მან პირველად გაუღიმა სამყაროს, მის წინ ასე ვრცლად რომ გადაშლილა. მისი ცხოვრება, მისი მომავალი გარანტირებულია, მას ათბობს სამშობლოს მზე და ადამიანის სიყვარული, სამშობლოს სიყვარული.

„... როდესაც ევსეი კლიმკოვს ოთხი წელი შეუსრულდა, მისი მამა მეტყევემ მოჰკლა, ხოლო, როცა შვიდი წლისა გახდა, — დედა მოუკვდა. ის მოკვდა უცებ, მინდორში, მკის დროს, და ეს ისე საოცარი იყო, რომ ევსეის არც კი შეშინებია, როცა იგი მკვდარი ნახა.

ბიძია პეტრემ, მჭედელმა, ბავშვს თავზე ხელი დაადო და უთხრა:

— რა ვქნათ?

ევსეიმ გახედა კუთხეს, სადაც ტახტზე დედა ესვენა, და ჩუმად უპასუხა:

— არ ვიცი...

მჭედელმა ხალათის სახელოთი მოიწმინდა ოფლი, დიდხანს სდუმდა, შემდეგ ნელა გაანაპირა ბავშვი და ამოიოხრა:

— ეჰ, შე მოხუცო!

იმ დღიდან ბავშვს მოხუცი შეარქვეს“.

ასე იწყება გორკის მოთხრობა „ზედმეტი ადამიანის ცხოვრება“.

ან:

...მივდივარ. უკან რჩება მშობლიური სოფელი ბლონდერსტონი და ჩემი მშობლების საფლავები. ჩემ წინ ცარიელი ცაა..., — ამბობს ბედისაგან დაჩაგრული პატარა დავით კოპერფილდი — ჩარლზ დიკენსის ცნობილი გმირი.

რა ბედნიერებაა, რომ პატარების ეს ტრაგედია ასე შორს არის ჩვენი სინამდვილისაგან, ჩვენი დღევანდლობისაგან.

მაგრამ რა დიდი ლაქაა ცივილიზებული კაცობრიობისათვის, როცა ადამიანის ასეთი გმინვა კვლავ გულის დამსერავად ისმის კაპიტალის ქვეყნებში!

ადამიანი ცრემლის საღვრელად როდი გაჩენილა. მაგრამ ცრემლს ღვრის კორეელი და ვიეტნამელი დედა.

შევუშროთ დედებს თვალებზე ცრემლი!

რკინა იმისათვის როდი ამოაქვთ მიწის წიაღიდან, რომ მისგან ბორკილები გამოჭედონ. ბორკილი ადევთ თავისუფლებისათვის მებრძოლთ კაპიტალის ქვეყნებში.

დაილეწოს ბორკილები, რომ იგი ადამიანის ხელფეხს არ შემოეჭდოს!

აგურისა და რკინაბეტონის დანიშნულება ის როდია, რომ მისგან ციხეები აშენონ. მაგრამ ციხეებით მოფენილია თურქეთი, რომ მათში უდანაშაულო ადამიანები ამწყვდიონ.

თავისუფლება თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს!

მიხვლეტავ მავთულხლართებს შეიძლება სხვა დანიშნულება მოენახოს, ვიდრე უდანაშაულო ადამიანთა ტანჯვის კუნძულების შემოღობვაა. მაგრამ მავთულხლართებს იქით სულს ღაფავენ თავისუფლებას მოწყურებული ადამიანები კოჯედოზე.

ცივილიზებულ კაცობრიობას უნდა ჩამოერეცხოს ეს სამარცხვინო ლაქა!

ბუნების უძლიერეს ძალას — ატომის ენერგიას ის დანიშნულება როდი აქვს, რომ მისგან ადამიანთა მასობრივი ჟლეტის იარაღი ამზადონ.

ადამიანის ბედნიერება მოითხოვს ატომის იარაღის აკრძალვას.

ადამიანის ბედნიერება მოითხოვს მშვიდობას.

ადამიანი ყველაფერზე მაღლა!

დიდება გაზაფხულს, სიცოცხლეს და ადამიანს!

**ვლ. თორდუა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი, ბედნიერი ცხოვრების გზით

## ჩინეთი

ჩინეთის ეკონომიკა და კულტურა ამაღლობის გზაზეა. სახალხო ხელისუფლება დაუცხრომლად ზრუნავს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. 1953 წელს სახალხო მრეწველობის პროდუქცია 1952 წელთან შედარებით 41,68 პროცენტით გადიდდა. [illegible] 204,1 პროცენტით გაიზარდა.

## პოლონეთი

განუწყვეტლივ ვითარდება სახალხო კულტურა. უმაღლეს სასწავლებელთა რიცხვი ომამდელ 27-ის ნაცვლად 83-ს მიაღწია. სოფლებში ერთი წლის მანძილზე აშენდა 850 ახალი შვიდწლიანი სკოლა, და ახლა ერთი შვიდწლიანი სკოლა მოდის ოთხ სოფელზე, მაშინ როცა ომამდე ერთი სკოლა [illegible] სოფელზე მოდიოდა. პოლონეთში 85 ათასი ბიბლიოთეკაა [illegible] 55 მილიონი ტომი წიგნის ფონდით. ერთი წლის განმავლობაში ბიბლიოთეკებში წიგნების რაოდენობა 3,4 მილიონი ტომით გადიდდა.

## ჩეხოსლოვაკია

მოსახლეობის გაზრდილ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად [illegible] 70 პროცენტი.

[illegible] იზრდება სახელმწიფო ხარჯები მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის. ომამდელ დონესთან შედარებით სახელმწიფოს ხარჯები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობისათვის 14-ჯერ გაიზარდა.

## უნგრეთი

განვლილი წლის მანძილზე მოსახლეობის ცხოვრება კიდევ უფრო გაუმჯობესდა. ხელფასის ფონდი ერთი წლის განმავლობაში 23,5 პროცენტით გაიზარდა. [illegible] 3.819 [illegible] 990 [illegible] 10-დან 27 პროცენტამდე, 4,7 მილიონი [illegible].

## რუმინეთი

[illegible]

სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც შემოღებულია 1949 წლის 1 იანვარს, მოიცავს რესპუბლიკის ყველა მუშა-მოსამსახურეს, მათ შორის სოფლის მეურნეობის მუშებსაც.

1949 წელთან შედარებით წელს ორნახევარჯერ და უფრო მეტად დიდდება ასიგნობანი ავადმყოფობის, ორსულობის გამო დახმარებისათვის, საკურორტო მკურნალობისათვის და სხვ. თითქმის ერთნახევარჯერ იზრდება ასიგნობანი პენსიების გასაცემად. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის განკუთვნილი ასიგნობანი წელს 1950 წელთან შედარებით შვიდჯერ და უფრო მეტად გაიზრდება.

## ბულგარეთი

სახალხო ბულგარეთში დიდი ყურადღება ექცევა მშრომელთა, განსაკუთრებით მუშათა და გლეხი ახალგაზრდობის ზოგადი განათლების დონის ამაღლებას და ტექნიკურ განათლებას. განთავისუფლებამდე ბულგარეთში არც ერთი საღამოს სკოლა არ ყოფილა. წელს 45 ზოგად-საგანმანათლებლო საღამოს საშუალო სკოლაში 7.200 მოსწავლეა. მუშა-ახალგაზრდობა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს საღამოს ტექნიკუმებისადმი, რომლებიც სხვადასხვა სპეციალობის დაუფლების შესაძლებლობას იძლევა. საღამოს 15 ტექნიკუმში 2.526 მოსწავლეა. ამ ტექნიკუმებთან შექმნილია 6 ორწლიანი კურსები.

## ალბანეთი

წლის განმავლობაში სასურსათო და სამრეწველო საქონელი 10-36 პროცენტით მეტი მიეყიდა მოსახლეობას.

სახალხო ხელისუფლებამ ალბანეთში პირველად შექმნა უმაღლესი სასწავლებლები, თეატრები, მხატვრული ანსამბლები.

1938 წელთან შედარებით ალბანეთში თითქმის 6-ჯერ გადიდდა სასურსათო საქონლის წარმოება. 20-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოება.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

მრეწველობაში მომუშავე მშრომელთა ხელფასი წლის განმავლობაში 6-7 პროცენტით გადიდდა.

მნიშვნელოვნად მეტი ხორცი, თევზი, კარაქი, მარგარინი, შაქარი მიეყიდა მოსახლეობას.

შარშან საცალო ვაჭრობის ქსელში მოსახლეობამ მიიღო საკვები პროდუქტები და სამრეწველო საქონელი ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1950 წელს.

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა

მიუხედავად ომის მძიმე პირობებისა, მთავრობამ გაათავისუფლა ღარიბი გლეხები ნატურალური გადასახადისაგან და სახელმწიფო სესხის დაბრუნებისაგან, გაადიდა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ოჯახების პროდუქტებით მომარაგების ნორმები. 1952 წლის 1 ოქტომბრიდან შემოღებულია მუშა-მოსამსახურეთა ოჯახებისათვის ხორბლის დამატებითი მიყიდვა იაფ ფასებში. ომის განმავლობაში სამჯერ მოხდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და სამრეწველო საქონლის ფასების შემცირება.

## მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა

პირველი ხუთწლიანი გეგმის წლებში მონღოლეთში პირუტყვის საერთო სულადობა 8,7 პროცენტით გადიდდა.

ხუთწლედის მანძილზე მონღოლეთში ექიმთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა. დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა რიცხვი 84,4 პროცენტით გადიდდა, შვიდწლედების — 33,3 პროცენტით, ათწლედების — ოთხჯერ, ტექნიკუმების — 27 პროცენტით, უმაღლესი სასწავლებლების — ორჯერ.



საქართველოს სსრ მთავრობის სახლის საფასადო კორპუსი.

ფოტო ჯეირანოვისა.

# თბილისი დღესასწაულის წინ

დიდებულია ყოველთვის გაზაფხულზე თბილისი — საქართველოს დამამშვენებელი და საქართველოთი დამშვენებული დედაქალაქი.

განსაკუთრებით ბრწყინვალე იყო იგი წუხელ, ხალხისა და ბუნების ამ ერთობლივი ზეიმის — საპირველმაისო ზეიმისათვის მზადებისას.

გაზაფხულის სიხალისეს ერთბაშად დაუპყრია ქალაქი, ჭადრებს, ვერხვებს, აკაციებს ტოტები ლაღად გაუშლიათ, ნორჩი ფოთლები აუშრიალებიათ, ღია ფანჯრებში ჩამოშვებულ ფარდებს ნიავი ნაზად არხევს, მუსიკის ხმა ესალბუნება გამვლელთა სმენას:

— გაზაფხული მოდის, ვარდობს,
სიკეკლუცით, ეშხით მათრობს...

ყვავილებიც გაფურჩქვნილან, გაზონები აუფერადებიათ, სიცოცხლის სადიდებლად გული გადაუშლიათ.

— რა კარგია გაზაფხული...

უმღერეთ ადამიანებო, ჩვენი სამშობლოს გაზაფხულს, უმღერეთ საბჭოთა ხალხს და მის მედროშეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას! ეს მისი წყალობითაა, რომ ჩვენში, პოეტის თქმისა არ იყოს, მუდამ გაზაფხულია, რომ სიცოცხლე საამური გახდა.

უკვე აღუმართავთ ქალაქში საპირველმაისო დროშები, უთვალავი ელექტროპირლიანდები ციცინათელებივით ციმციმებენ პროსპექტებზე, ქუჩებში, მოედნებზე, მარგალიტის ყელსაბამებივით შემოხვევიან დიდ შენობებს, დავაჟკაცებულ ხეებს. ელექტროშუქზე ელვარებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებათა სიტყვები:

— გაუმარჯოს ხალხთა შორის მშვიდობას!

— საბჭოთა მოქალაქეების უფლებები, რომლებიც გარანტირებულია ჩვენი კონსტიტუციით, ურყევია და მათ წმიდად იცავს საბჭოთა მთავრობა!

კომკავშირული ხეივნიდან, როგორც ხელისგულზე ჩანს ჩვენი დედაქალაქი.

ლამპიონთა პუნქტირები ქუჩათა და მოედანთა კონტურებს მკაფიოდ ფარგლავენ, სანაპიროთა გასწვრივ შუქის ანარეკლს ისვრიან წყალბარაქიანი მტკვრის ტალღები და ჩანან აქა-იქ ხორთუმჩამოშვებული ექსკავატორები, რომლებიც მშენებლებს მდინარის კალაპოტში იმიტომ შეუყვანიათ, რომ მეტად შებოჭონ ამ ტალღათა თვითნებობა და ჭირვეულობა. ფუნიკულორზეც აუნთიათ შუქი. იგრძნობა მწვანე ნარგავთა მომძლავრება განა მარტო ფუნიკულორის პლატოზე, გაღმაც, გამოღმაც, ქვემოთაც — ქალაქში, ზემოთაც — ქალაქის ირგვლივ სერებზე.

რეპროდუქტორებიდან მელოდიური სიმღერა ისმის. გარინდულა ბუნება, მცენარეებსაც შეუჩერებიათ ტოტების რხევა, თითქოს ისინიც სმენად გადაქცეულან, სურთ ენა აიდგან და თავიანთი ხმა შეუერთონ სიმღერას ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას შესახებ.

ეს შენ გახადე თბილისის ბჭენი
მაღალი, მტკიცე, აუღებელი,
და სიყვარულით, სიამით, ლხენით
ხალხმა გიწოდა აღმშენებელი...

... შუა ღამე მოახლოვებულიყო. დუმდნენ საწარმოთა დიდი კორპუსები, ქუჩებშიაც საგრძნობი გახდა მოძრაობის შენელება. დედაქალაქი დასვენებას ეძლეოდა საპირველმაისო დემონსტრაციისათვის.

**დ. ლომთაძე.**

# საპირველმაისო საჩუქრები

## ქუთაისური თვითსაცლელი ავტომობილები

მძლავრი შრომითი აღმავლობით აღინიშნა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების დასკვნითი ეტაპი ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. ავტომობილმშენებელთა მოწინავე რაზმმა — შასის საამქროს კოლექტივმა მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა და საპირველმაისოდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები შეასრულა 21 აპრილისათვის. საამქროში არ არის არც ერთი მუშა, რომელიც გეგმას გადაჭარბებით არ ასრულებდეს.

საყურადღებო მიღწევებია მოპოვებული ტექნიკური პროგრესისა და სიახლეების დანერგვის დარგშიც. ხელსაწყო-იარაღების საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსმა, ინჟინერმა ა. კომაროვმა ჩქაროსან ხარატ ა. აგაპოვთან შემოქმედებითი თანამეგობრობით დაამუშავა ლითონის ჩქაროსნულად ჭრის ახალი მეთოდი, რომლის გამოყენებაც ხარატების შრომის ნაყოფიერებას 10-15 პროცენტით adidebs. ამ მეთოდით მუშაობის დანერგვამ ძრავების საამქროში თვითსაცლელი ავტომანქანის ცილინდრის მილის დამუშავების დრო 4-ჯერ შეამცირა. ა. კომაროვისა და ა. აგაპოვის მეთოდით ლითონის ჩქაროსნული ჭრა ინერგება ქარხნის ყველა საამქროში.

წარმატებით იმუშავა მთავარი კონვეიერის საამქროს კოლექტივმა, რომელიც აპრილში გეგმას სისტემატური გადაჭარბებით ასრულებდა.

ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა სამშობლოს საპირველმაისო საჩუქრად თვითსაცლელ ავტომანქანათა რამდენიმე კოლონა გაუმზადეს გეგმის გადამეტებით.

## ქართული მარგანეცი საუკეთესოა მთელ მსოფლიოში

ჭიათურა, როგორც ცნობილია, მსოფლიოში მარგანეცის საუკეთესო ხარისხის მადნის სამშობლოა. ჭიათურელი მაღაროელები ამაყობენ იმით, რომ ისინი ამ საუკეთესო მადნით შეუფერხებლად ამარაგებენ საბჭოთა მეტალურგიას, მეტი მადნის მიწოდებით ხელს უწყობენ სამშობლოს ძლევამოსილების შემდგომ განმტკიცებას.

საპირველმაისოდ ჭიათურელმა მაღაროელებმა ახალი წარმატება მოიპოვეს. მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების ოთხი თვის გეგმა 28 აპრილისათვის შეასრულეს და დღესასწაულისათვის გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი ტონა მარგანეცი ამოიღეს.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც უკვე მეხუთე თვეა ფლობს მარგანეცის ტრესტის გარდამავალ წითელ დროშას, ოთხი თვის გეგმა 20 აპრილისათვის გაანაღდა.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ ის უბნები და ცვლები, რომლებსაც ვ. ნეფარიძე, ვ. დალუნდარიძე, ი. გაფრინდაშვილი და ო. მეგრელიშვილი ხელმძღვანელობენ. აპრილში კარგად იმუშავეს აგრეთვე მადნის გამაუხვებელი ცენტრალური ფაბრიკისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს კოლექტივებმა.

მათ უკვე მოგვცეს ოთხი თვის გეგმის გადამეტებით მრავალი ათასი ტონა მარგანეცი.

## თბილისის ვაგზლის ახალი შენობა

კარგი საპირველმაისო საჩუქარი მიუძღვნეს მშენებლებმა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებს. დამთავრდა თბილისის მთავარი ვაგზლის არქიტექტურული ანსამბლის აგება, დაწყებულია შენობის მიღება და საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ეს შენობა ერთ-ერთი საუკეთესოა ამიერკავკასიის რკინიგზის ვაგზლის შენობებს შორის. მისი აგებით დამთავრდა ვაგზლის მოედნის ცალი მხარის რეკონსტრუქცია და არქიტექტურული გაფორმება. შემდეგ კი დაიწყება მოედნის წინა ნაწილის გაფართოება. ვაგზლის შენობის შუა კოშკიანი კორპუსი ოთხსართულიანია, ხოლო განაპირა ფლიგელები — ხუთსართულიანი. პირველ სართულში მოწყობილია მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი 520 კვადრატული მეტრი ფართობით. მარჯვენა ფლიგელის კორპუსში ორი სართული 320 კვადრატული მეტრი ფართობით გამოყოფილია დედათა და ბავშვთათვის. აქ მათთვის მოეწყობა სასადილო, საექიმო პუნქტი და სხვა სასამსახურო სათავსოები. მარცხენა კორპუსში 22 ოთახი განკუთვნილია სატრანზიტო მგზავრთათვის. ცალკეა გამოყოფილი დარბაზები სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთათვის.

მგზავრთა კულტურული მომსახურების მაღალ დონეზე დასაყენებლად ახალ შენობაში გაიხსნება ბიბლიოთეკა და სამკითხველო, მოეწყობა მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი ესტრადით, იქვე იქნება საპარიკმახერო, სასადილო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა დაწესებულებები.

## ცემენტი—ახალ მშენებლობებს

კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ამას წინათ ჩაება ყარადაღის (აზერბაიჯანის სსრ) ცემენტის ქარხნის კოლექტივთან სოციალისტურ შეჯიბრებაში, პირნათლად შეასრულა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები და ცემენტის გამოშვების ოთხი თვის გეგმა ვადამდე — 24 აპრილისათვის გაანაღდა.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების განმავლობაში მეცემენტეებმა მრავალი გაუმჯობესება შეიტანეს როგორც ნედლეულის ტრანსპორტირების გასაადვილებლად, ისე პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ გაუმჯობესებათა შედეგად ნედლეულის ტრანსპორტირების ხარჯები შემცირებულია 10 პროცენტით, მბრუნავი ღუმელების წარმადობა გადიდებულია 15 პროცენტით, გაწეულია საწვავის საგრძნობი ეკონომია და გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათობით ტონა ცემენტი და ნახევარფაბრიკატი — კლინკერი.

კასპელმა მეცემენტეებმა იკისრეს არ დაუშვან მუშაობაში აღებული ტემპის შენელება, უზრუნველყონ მიმდინარე წლის გეგმის შესრულება 21 დეკემბრისათვის, გააუმჯობესონ ნაწარმის ხარისხი და თვითღირებულების შემცირების შედეგად სამშობლოს წლის ბოლოსათვის 465 ათასი მანეთი ეკონომია მისცენ.

## ფერადი შიფერი

ნაყოფიერად იმუშავა კასპის შიფერის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი საპირველმაისო ვალდებულებები 28 აპრილისათვის გაანაღდა. მეშიფერეებმა რესპუბლიკის ახალ მშენებლობებისათვის უკვე დაამზადეს და გამოუშვეს მილიონზე მეტი ცალი შიფერი, რაც საკმარისი იქნება მრავალი ათეული დიდი და მრავალსართულიანი სახლის გადასახურავად.

ჩვენებური შიფერი დიდი რაოდენობით ეგზავნებათ მოძმე რესპუბლიკების მშენებლებსაც. იანვრიდან მაისამდე გაგზავნილია 346 ვაგონი საუკეთესო შიფერი.

ქარხანაში წარმატებით აითვისეს ფერადი შიფერის წარმოება და საპირველმაისოდ უკვე გამოუშვეს 1 მილიონი ცალი ფერადი შიფერი.

# მშრომელთა გაღატაკება კაპიტალის ქვეყნებში

**ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში განუწყვეტლივ მცირდება მშრომელთა ხელფასი.**

ამერიკის შეერთებულ შტატებში საშუალო ხელფასი საარსებო მინიმუმთან შეფარდებით 1952 წელს შეადგენდა მხოლოდ 54 პროცენტს, იტალიაში (1951 წელს) — 50 პროცენტს, იაპონიაში (1951 წელს) — 30 პროცენტს. დასავლეთ გერმანიაში დაქირავებულ მუშათა 42 პროცენტის ხელფასი 1952 წელს ოფიციალურ უაღრესად დაბალ საარსებო მინიმუმზე დაბალი იყო. საფრანგეთში 1951 წელს მშრომელთა დაახლოებით 50 პროცენტის ხელფასი დადგენილ საარსებო მინიმუმზე დაბალი იყო.

**ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში 1952 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა კვების პროდუქტების ფასები.**

მშრომელთა კვების ისეთი მასობრივი პროდუქტის ფასები, როგორიც არის კარტოფილი, 1952 წელს გადიდდა: ამერიკის შეერთებულ შტატებში—53 პროცენტით, ინგლისში — 15 პროცენტით, დასავლეთ გერმანიაში — 46 პროცენტით, იტალიაში — 19 პროცენტით, საფრანგეთში — 10 პროცენტით. პურის ფასები შესაბამისად გადიდდა: ინგლისში — 25 პროცენტით, საფრანგეთში — 21 პროცენტით.

**მშრომელნი იძულებული არიან მეტი გადაიხადონ არა მარტო კვებაში, არამედ ბინის ქირადაც.**

**ბინის ქირა** კაპიტალისტურ ქვეყნებში განუხრელად მატულობს. მაგალითად, იტალიაში 1946-დან 1953 წლამდე მისი გადიდება მოხდა რვაჯერ. ერთი ოთახის ქირა თვეში შეადგენს 6-დან 12 ათასამდე ლირას, მაშინ, როცა კვალიფიციური მუშის თვიური ხელფასი შეადგენს 25-დან 30 ათასამდე ლირას. 4 მილიონი იტალიელი, რომლებსაც ბინის ქირის გადახდის საშუალება არა აქვთ, თავშეფარებულია გამოქვაბულებში, ქოხმახებში.

**კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებში მატულობს უმუშევრობა.**

**ინგლისში** მთლიანად უმუშევართა რიცხვი 1952 წელს 64 პროცენტით გადიდდა.

უმუშევრობა გადიდდა აგრეთვე საფრანგეთში, ბელგიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ნორვეგიასა და სხვა ქვეყნებში.

**ამერიკის შეერთებულ შტატებში** უმუშევრობა შეეხო ყოველ მეოთხე მუშასა და მოსამსახურეს, **დასავლეთ გერმანიაში** — თითქმის ყოველ მეხუთეს. ომის შემდეგ განსაკუთრებით ძლიერ გავრცელდა ნაწილობრივი უმუშევრობა, როცა მუშა არასრულ სამუშაო კვირას მუშაობს.

**გადასახადები კაპიტალისტური ქვეყნების უდიდესი სამხედრო ხარჯების დაფარვის ძირითადი წყაროა.**

1952/1953 წელს გადასახადებით მიღებული შემოსავალი შეადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებში სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი შემოსავლის 98 პროცენტს, ინგლისში — 95 პროცენტს, საფრანგეთში — 98 პროცენტს, იტალიაში, ბელგიაში, ავსტრალიასა და ჩილიში — დაახლოებით 90 პროცენტს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის პირდაპირი გადასახადები 1952/1953 საბიუჯეტო წელს 1937/1938 საბიუჯეტო წელთან შედარებით, გაუფასურებული ვალუტის გათვალისწინებითაც კი, 12-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა, ხოლო ახალ, 1953/1954 საბიუჯეტო წელს ერთიორად გადააჭარბებს 1949/1950 წლის დონეს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც საგადასახადო ტვირთი მეორე მსოფლიო ომამდეც მეტად მნიშვნელოვანი იყო, გადასახადები შესაბამისად გადიდდა: ინგლისში — 2-ჯერ, საფრანგეთში — 2,6-ჯერ, იტალიაში — 1,5-ჯერ.

**(შედგენილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის კონიუნქტურის სექტორის მიერ).**

# ციფრები და ფაქტები

**ინგლისი** სერიოზულ საბინაო კრიზისს განიცდის. 4 მილიონ ოჯახზე მეტი ძველსა და ნახევრადდანგრეულ სახლებში ცხოვრობს, ხოლო ფირმები, რომლებიც სამშენი მასალებით ვაჭრობენ და კოლოსალური მოგებით არიან დაინტერესებულნი, აძვირებენ საშენ მასალებს. აგური გაძვირდა 14 პროცენტით, ქვიშა — 16 პროცენტით, ცემენტი — 17 პროცენტით, შიფერის ფილები — 25 პროცენტით, ფოლადი — 32 პროცენტით, სადებავები — 41 პროცენტით, ხე-ტყის მასალა — 62 პროცენტით.

**სამხრეთ აფრიკის** მკვიდრი მოსახლეობა უჭმელობისა და ავადმყოფობისაგან წყდება. ათასი ბავშვიდან 2 წლამდე კვდება 327, 16 წლამდე კი ცოცხალი რჩება მხოლოდ 508 ბავშვი.

**დასავლეთ გერმანიაში** 190 ათასი ბავშვი ბარაკებში ცხოვრობს, 85 ათასი დააკავეს მაწანწალობისათვის. სისხლის სამართლის დამნაშავეთა 16 პროცენტს მოზარდები შეადგენენ.

**ბრიუსელში** (ბელგია) 35 წელს გადაცილებულ კაცს სამუშაოზე არ იღებენ ან საწარმოდან ითხოვენ, რადგან „35 წლის ადამიანი მეტად მოხუცია!“ ამით მეწარმენი ორ კურდღელს იჭერენ — სამუშაოზე იღებენ უფრო ახალგაზრდებს, რომელთა შრომა ბევრად იაფი უჯდებათ, თან ადრევე თავისუფლდებიან მომავალში მოხუცთათვის პენსიის მიცემისაგან.

**საფრანგეთში** 1949 წლის სექტემბერთან შედარებით 1952 წლის სექტემბერში ცხოვრების ღირებულება გადიდდა 45 პროცენტით, ნორვეგიაში — 35 პროცენტით, შვეციაში — 28 პროცენტით, საბერძნეთში — 27 პროცენტით, ინგლისში — 22 პროცენტით, ჰოლანდიაში — 21 პროცენტით და ა. შ.

**ამერიკის შეერთებულ შტატებში** გადასახადები 1940 წელს შეადგენდა 117 დოლარს მოსახლეობის თვითეულ სულზე, 1945 წელს — 340 დოლარს, 1952 წელს კი — 557 დოლარს. შეერთებული შტატების მოსახლეობა გადასახადებზე უფრო ბევრ ფულს ხარჯავს, ვიდრე კვებისათვის. 1951 წელს მოსახლეობისგან გადასახადების სახით ამოქაჩულ იქნა 75 მილიარდი დოლარი, ხოლო ამავე მოსახლეობის ხარჯები კვებისათვის შეადგენდა 55 მილიარდ დოლარს!

**ავღანეთში** გლეხებს მიწის მხოლოდ 30 პროცენტი ეკუთვნით, დიდ უმრავლესობას მიწა ან ძალიან ცოტა აქვს, ან სულ არა აქვს. მემამულეები გლეხებს მოსავლის 90 პროცენტს ართმევენ.

**იუგოსლავიის** მუშები სასტიკ კაპიტალისტურ ექსპლოატაციას განიცდიან. საწარმოებში არ არის შრომის ელემენტარული დაცვა. ამის შედეგია წარმოებაში უბედური შემთხვევების კატასტროფული ზრდა. თვით ტიტოელების აღიარებით 1948 წელს მოხდა 53.000 უბედური შემთხვევა, 1950 წელს — 100.000, 1952 წელს — 250.000.

იუგოსლავიის მარტო ქვანახშირის მაღაროებში 1952 წელს უბედური შემთხვევების მსხვერპლი გახდა 8.500 კაცი, ე. ი. ამ დარგის ყველა მუშის 10,92 პროცენტი.

**1949-1950 წლებში** ნაციონალური შემოსავალი დედამიწის მოსახლეობის ერთი მესამედისა, რომელშიც შედიან ბირმის, ინდონეზიის, ფილიპინების, ეკვადორის, ეთიოპიის, ჰაიტის, ტაილანდის და სხვა დამოკიდებული ქვეყნების ხალხები, შეადგენდა მსოფლიო შემოსავლის 5 პროცენტზე ნაკლებს.

## კორეის ამბები

### სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 29 აპრილი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი.

### ამერიკის ავიაცია კვლავ თავს ესხმის მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს კორეაში

**ფხენიანი, 28 აპრილი.** (საქდესი). ამერიკის ავიაცია კვლავ თავს ესხმის ჩრდილოეთ კორეის მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს. როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი სარივონიდან იუწყება, 19 აპრილს ამერიკის თვითმფრინავთა დიდმა ჯგუფმა ინტენსიურად დაბომბა და ცეცხლი დაუშინა ხვანხეს პროვინციის ბონსანის მაზრის დასახლებულ პუნქტებს. თავდასხმამ რამდენიმე საათს გასტანა. მოკლული და დაჭრილია ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები.

იმავე დღეს ამერიკის მოიერიშენი და ბომბდამშენები გაფთრებით დაესხნენ თავს პროვინციის სხვა რაიონების დასახლებულ პუნქტებს. ამერიკის მფრინავებმა ბომბები დააყარეს მინდვრად მომუშავე გლეხებს და ტყვიამფრქვევი დაუშინეს მათ.

### კუნძულ კოჯედოზე მოკლეს სამხედრო ტყვე

**პეკინი, 29 აპრილი.** (საქდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება: ამერიკელთა განცხადების თანახმად, 26 აპრილს კუნძულ კოჯედოზე მოკლულ იქნა კიდევ ერთი სამხედრო ტყვე. ამერიკელთა მტკიცებით, იგი მოკლულ იქნა იმიტომ, რომ „იმალებოდა“ ბანაკის მავთულხლართთან.

### „ნიუ-იორკი ქვეითდება“

**ნიუ-იორკი, 29 აპრილი.** (საქდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კვირის დამატებაში — „ზის უიკში“ გამოქვეყნებულია „უძრავი ქონების მფლობელთა ეროვნული ასოციაციის“ გამგეობის ყოფილი პრეზიდენტის ლუნდის სტატია. სტატიაში ნათქვამია, რომ ამერიკის ქალაქებში, მათ შორის ნიუ-იორკშიც, სწრაფად ფართოვდება ქოხმახების რაიონი და წლითიწლობით შენობები სულ უფრო უვარგისი ხდება. „თუ ახლა არ მივიღეთ ღონისძიებანი, — აღნიშნავს ავტორი, — 1963 წლისათვის ჩვენი ქალაქების უმრავლესობა ისეთ მდგომარეობაში იქნება, რომ არა მგონია ვინმემ ისურვოს იქ ცხოვრება და მუშაობა, ანდა მათი ნახვა“.

ლუნდი აღნიშნავს, რომ ნიუ-იორკი სულ უფრო „ქვეითდება“, და წერს: „ინგრევა სახლები, მათი აგურის კედლები დაფარულია ჭვარტლის სქელი ფენით. სახურავები დაქანგებულია. კიბის ბოყვები სავსეა ნაგვით. ეზოებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

სავაჭრო რაიონებში ფუსფუსებენ მეფარდულენი. მაღაზიის ვიტრინები სავსეა წვრილმანი რამეებით და ყოველგვარი საძაგელი საქონლით...

სკოლებში საკმაო არ არის წიგნები და მერხები. ჩამტვრეულ ფანჯრებში ჩაყენებულია მუყაო, სკოლის ღობეები გამონგრეულია“.

### ნიუ-იორკში აიკრძალა საპირველმაისო დემონსტრაცია

**ნიუ-იორკი, 29 აპრილი.** (საქდესი). ამერიკის პრესა იუწყება, რომ ნიუ-იორკის ხელისუფლებმა პროგრესულ ორგანიზაციებს აუკრძალეს ნიუ-იორკის ქუჩებში ტრადიციული საპირველმაისო დემონსტრაციის გამართვა. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც სავაჭრო პალატამ და სხვა მსგავსმა ჯგუფებმა დემონსტრაციის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ხელისუფალნი პოლიციური რეპრესიებით იმუქრებიან, თუ აკრძალვის მიუხედავად დემონსტრაცია გაიმართა.

„პირველი მაისის დღის მომწყობმა გაერთიანებულმა პროფკავშირულმა და სახალხო კომიტეტმა“, რომელიც დემონსტრაციას მართავს, „სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის კონგრესმა“ და მთელმა რიგმა სხვა პროგრესულმა ორგანიზაციებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს და მოითხოვეს, რომ ქალაქის ხელისუფლებმა ნება დართონ მოეწყოს დემონსტრაცია.

### მდგომარეობა ირანში

**თეირანი, 29 აპრილი.** (საქდესი). უკანასკნელი თვენახევრის მანძილზე ირანის მეჯლისი ღია სხდომაზე ვერ შეკრებილა იმის გამო, რომ არ არის ქვორუმი, რადგან მოსადიკის მთავრობისადმი ოპოზიციური დეპუტატები უარს ამბობენ მეჯლისის მუშაობაში მონაწილეობაზე.

ამასთან დაკავშირებით გადადებულია განხილვა „რვის კომისიის“ მოხსენებისა, რომელსაც მხარს უჭერს საპარლამენტო ფრაქცია „ეროვნული მოძრაობა“ („ეროვნული ფრონტის“ საპარლამენტო ფრაქცია), კონსტიტუციის შესაბამისად მთელი ძალაუფლების, მათ შორის სამხედრო ძალაუფლების, მინისტრთა საბჭოს ხელში გადაცემის შესახებ (დღემდე არსებული მდგომარეობისაგან განსხვავებით, როცა ირანის არმიის მთავარსარდალია შაჰი, რომელიც არ ითვლება „პასუხისმგებელ პირად მეჯლისის წინაშე“).

**თეირანი, 29 აპრილი** (საქდესი). სამხედრო წესები შირაზში გაგრძელებულია კიდევ ერთი თვით. ქალაქში სიარული აკრძალულია საღამოს 7 საათისა და 30 წუთიდან დილის 5 საათამდე.

### მდგომარეობა პატეტ-ლაოში

**პარიზი, 29 აპრილი.** (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის მიერ ხანოიდან გადმოცემული ცნობიდან გამომდინარეობს, პატეტ-ლაოს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები „ამჟამად იმყოფებიან 40 კილომეტრზე მეფის რეზიდენცია ლუან-პრაბანიდან. მათი პოზიციები განლაგებულია ნახევარწრედ და ქალაქს გარს არტყია ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან“.

## „სრული სოლიდარობა და მხარდაჭერა!“

### «ჟენმინჟიბაო» ეხება სტატიას «პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლის გამო»

**პეკინი, 29 აპრილი.** (საქდესი). დღეს გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ მოწინავე სტატიაში „საქმეს სიტყვაზე მეტი ფასი აქვს“ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამოსვლისა და „პრავდის“ 25 აპრილის მოწინავე სტატიის გამო წერს:

„პრავდის“ მოწინავე სტატია დიდი დამაჯერებლობით გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და გულწრფელად ახორციელებს პრაქტიკულ ღონისძიებებს სხვადასხვა საერთაშორისო საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის. „პრავდის“ მოწინავე სტატია გამოხატავს საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ამ სტატიამ ძალიან მალე ჰპოვა მსოფლიო საზოგადოებრიობის ცხოველი და კეთილმოსურნე გამოხმაურება.

ჩინელი ხალხი, აღნიშნავს „ჟენმინჟიბაო“, სრულ სოლიდარობას უცხადებს და სავსებით უჭერს მხარს გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატიას.

„პრავდის“ მოწინავე სტატია, — ხაზგასმით აღნიშნავს „ჟენმინჟიბაო“, — დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების მაგალითებით ადასტურებს იმას, რომ ხუთი „მცნება“, რომლებზეც თავის გამოსვლაში ლაპარაკობს ეიზენჰაუერი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ მომენტებზე, მხოლოდ ზოგადი დეკლარაციაა, რომელიც დადასტურებული არ არის საქმეებით. კორეისა და გერმანიის საკითხებში, ჩინეთის საკითხში და სხვა პრობლემებში ამერიკის შეერთებული შტატები როგორც წარსულში, ისე ამჟამადაც ძალიან ნაკლებად იცავენ თავიანთ ამ „მცნებებს“.

„ამჟამად, — განაგრძობს გაზეთი, — საჭიროა თვით ეიზენჰაუერის სიტყვებით ითქვას: „ჭეშმარიტების შემოწმება ადვილია. დარწმუნება შეიძლება მხოლოდ საქმით“. ამჟამად მთელი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ყურადღების ცენტრშია კორეის საკითხი. ადამიანებმა უწინარეს ყოვლისა უნდა მოითხოვონ, რომ მოლაპარაკების ორივე მხარემ პრაქტიკული მოქმედებით დაამტკიცოს, რომ გულწრფელად ცდილობს შეწყდეს ომი კორეაში და მშვიდობიანი გზით გადაწყდეს კორეის საკითხი“.

„საბჭოთა მთავრობა, — ხაზგასმით აღნიშნავს „ჟენმინჟიბაო“, — მუდამ იჩენდა ინიციატივას და მხარს უჭერდა ჩინეთისა და კორეის ხალხთა ღონისძიებებს კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირმა დაუყოვნებლივ დაუჭირა მხარი სამხედრო ტყვეთა საკითხის სრული გადაჭრის შესახებ კორეისა და ჩინეთის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ წამოყენებულ წინადადებებს, რომლებიც ხელს უწყობენ კორეაში ომის შეწყვეტას. სამხედრო ტყვეთა სრული გაცვლის საკითხის გადაჭრის კონკრეტულ ღონისძიებათა პროექტი, რომელიც პანმინჯონში დაზავების საკითხის შესახებ ორივე მხარის დელეგაციების სხდომაზე 26 აპრილს წარადგინა ჩვენი მხარის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა, საფუძვლად დაედო განხილვას ორივე მხარის დელეგაციებს შორის. ეს პროექტი წარდგენილი ღონისძიებების, ვადებისა და მეთოდების მხრივ აშკარა დათმობაა ამერიკის მხარისადმი... ამერიკის მხარემ, აღნიშნავს გაზეთი, გულდასმით უნდა შეისწავლოს ეს პროექტი, რომლის მიზანია სამხედრო ტყვეთა გაცვლის საკითხში ორივე მხარეს შორის უთანხმოების მოსპობა და ომის შეწყვეტა, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება, და არ უნდა უგულებელყოს და უარყოს ეს პროექტი, როგორც ეს უკვე შემჩნეულია უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში. სწორედ ეს არის ის დიდმნიშვნელოვანი მომენტი კონკრეტული მოქმედების გზით მშვიდობის მიღწევაში, ის ნამდვილი გამოცდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის, რომელსაც იგი თავს ვერ აარიდებს“.

როგორც აღნიშნულია „პრავდის“ მოწინავე სტატიაში, პრეზიდენტი ეიზენჰაუერი თავის გამოსვლაში არ შეხებია ჩინეთის საკითხს. ამ ფაქტმა, აღნიშნავს „ჟენმინჟიბაო“, საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია.

კვლავ ეხება რა „მცნებებს“, რომლებიც ეიზენჰაუერმა ჩამოაყალიბა თავის გამოსვლაში, „ჟენმინჟიბაო“ აღნიშნავს, რომ წინააღმდეგ ამ „მცნებებისა“, მიმდინარე წლის 2 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წერილში კონგრესისადმი ამერიკის მდგომარეობის შესახებ ოფიციალურად იყო აღნიშნული მისწრაფება, რომ ტაივანზე მყოფ გომინდანელ ბანდიტთა ნაშთები გამოიყენონ ჩინეთის წინააღმდეგ აგრესიის აქტების განსახორციელებლად. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი კიდევ უფრო აშკარად უწევს დახმარებას გომინდანელთა ბანდების ნაშთებს ტაივანზე და ხოტბას ასხამს ბლოკადასა და ემბარგოს, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს ჩვენი ქვეყნის მიმართ. სავსებით ცხადია, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ხოტბას ასხამს ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი სახელმწიფო მდივანი, ეწინააღმდეგება „მცნებებს“, რომლებზეც თავის გამოსვლაში ლაპარაკობდა პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, აგრეთვე მის მოწოდებას: „ჩვენ ვიბრძვით ნამდვილი და სრული მშვიდობისათვის მთელ აზიაში...“ ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ინგლისის ლეიბორისტული მთავრობის ყოფილ მინისტრს სტრეჩის დალესის სიტყვის თავისებურებად მიაჩნია ის, რომ დალესს სურს „ომის აქტად“ გადააქციოს ეიზენჰაუერის სიტყვა.

„ამჟამად, — განაგრძობს გაზეთი, — მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი „პრავდის“ მოწინავე სტატიის მეოხებით გაერკვა საერთაშორისო პრობლემებში. ამ სტატიამ ხალხები კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ საბჭოთა კავშირის თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკა ურყევია. თავის სიტყვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიაზე ამხ. მალენკოვმა თქვა: „მშვიდობის საბჭოთა პოლიტიკის საფუძველია სხვა ქვეყნების, როგორც დიდი, ისე მცირე ქვეყნების, ხალხების უფლებათა პატივისცემა, დაწესებული საერთაშორისო ნორმების დაცვა; საბჭოთა საგარეო პოლიტიკის საფუძველია სხვა სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის მიერ დადებული ყველა ხელშეკრულების ზუსტი და განუხრელი შესრულება.

ამჟამად არ არის ისეთი სადავო ან გადაუჭრელი საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით დაინტერესებული ქვეყნების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. ეს შეეხება ჩვენს ურთიერთობას ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის ჩვენს ურთიერთობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან“.

საბჭოთა კავშირის მთავრობის ეს ნათელი სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა სულ უფრო ფართო თანაგრძნობას და მხარდაჭერას პოულობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა მასებში. ეს სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა დღეს მძლავრი მხარდაჭერაა ხალხებისათვის, რომლებიც მოითხოვენ საერთაშორისო დავისა და გადაუჭრელი საკითხების გადაჭრას ურთიერთ მოლაპარაკების გზით, და ყველა სახელმწიფოსათვის, რომლებიც მშვიდობიან თანაარსებობას ესწრაფვიან. ჩინელი ხალხი გულწრფელად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკას. ორი ქვეყნის მჭიდრო ერთიანობა ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობის საქმეს და საერთაშორისო მეგობრულ თანამშრომლობას. ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ ახორციელებენ მტკიცე ღონისძიებებს, რომელთა მიზანია კორეაში ომის შეწყვეტა და კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრა. „ჩვენ მტკიცედ ვიცით, — დაასკვნის გაზეთი, — რომ ჩვენი ღონისძიებები ხელს შეუწყობენ მშვიდობას და უშიშროებას შორეულ აღმოსავლეთში და მთელ მსოფლიოში. ეს ჩვენი ღონისძიებები მთლიანად შეესაბამება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ინტერესებს, ყველა იმ ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, რომელთა შვილები ომობენ კორეაში, იმ სახელმწიფოთა ინტერესებს, რომელთა მიზანია კორეაში ომის დამთავრება. ამიტომ არავითარი ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ღონისძიებანი სამართლიან მხარდაჭერას და დახმარებას ჰპოვებენ“.

## დამთავრდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მე-15 სესიის მუშაობა

**ნიუ-იორკი, 29 აპრილი.** (საქდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მე-15 სესიამ. საბჭომ დაამტკიცა წინასწარი დღის წესრიგი შემდეგი, მე-16 სესიისა, რომელიც 30 ივნისს გაიხსნება ჟენევაში. საბჭომ მე-16 სესიაზე უნდა განიხილოს 42 საკითხი, მათ შორის შემდეგი საკითხები: სრული დასაქმებულობისა და ამასთან დაკავშირებით „ხელახალი შეიარაღების პერიოდის შემდეგ მშვიდობიან წარმოებაზე გადასვლის“ შესახებ; ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარება და ამ განვითარების დაფინანსება; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საკითხის კომისიის მოხსენება; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არაწევრი სახელმწიფოებისათვის რეგიონალურ კომისიებში სრული წევრობის უფლების მინიჭების შესახებ.

გადაწყდა, რომ მე-16 სესიამ განიხილოს აგრეთვე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წინადადება „იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიღებულ უნდა იქნას, რათა მთელ მსოფლიოში განხორციელდეს პროგრესული სოციალური პოლიტიკა, კერძოდ დაცულ იქნას, გაუმჯობესდეს და გაფართოვდეს სოციალური უზრუნველყოფა“.

სესიის დახურვისას საბჭოს თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ შემდეგ სესიაზე საბჭოს წევრი ქვეყნები დაადგებიან საერთაშორისო ეკონომიკური პრობლემებისა და ნამდვილი ეკონომიკური თანამშრომლობის უზრუნველყოფის დარგში, აგრეთვე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის დარგში შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევის გზას, რომელიც უკვე ამ სესიაზე დაისახა.

## ეკონომიკური წინააღმდეგობანი ბენილუქსის ქვეყნებს შორის

**ჰააგა, 30 აპრილი.** (საქდესი). გაზეთი „ალგემაინ ჰანდელს-ბლადი“ ბენილუქსის (ე. ი. ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის) ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობისადმი მიძღვნილ სტატიაში წერს:

„ბენილუქსის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის დარგში სიძნელეების უარყოფა იმას ნიშნავს, რომ არ მოვისურვოთ ფაქტების დანახვა. ამ სიძნელეების მიზეზი ცნობილია: ბელგიის მრეწველობა სიძნელეებს განიცდის საგარეო ბაზრებზე თავისი საქონლის გასაღებაში. საშინაო ბაზარზე ბელგიის მრეწველობა ძლიერ კონკურენციას აწყდება წარმოების სხვადასხვა დარგში. ეს ბენილუქსის ქვეყნების საბაჟო გაერთიანების ბუნებრივი შედეგია“.

„გასულ კვირაში, — ნათქვამია შემდეგ სტატიაში, — ბრიუსელში გაიმართა ბენილუქსის ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც ბელგიელ მრეწველთა ფედერაციის თავმჯდომარემ ბეკარტმა განგაში ატეხა და მიემხრო იმათ, ვინც მოითხოვს განხორციელდეს ღონისძიებანი ჰოლანდიის სამრეწველო საქონლის იმპორტის წინააღმდეგ... თუ ბელგიის მხარე დარწმუნებულია, რომ ორივე ქვეყანაში ფასებისა და ხელფასის დონეს შორის არსებული განსხვავება დაუძლეველი დაბრკოლებაა, ეს იმას უდრის აღიარონ, რომ ბენილუქსის ქვეყნების ეკონომიკური კავშირი ამჟამად შეუძლებელია.

ყოველივე ეს ჩვენ მეტად სავალალოდ მიგვაჩნია. ამ ვითარების გავლენა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს გაცილებით უფრო დიდ სფეროში, ვიდრე ბენილუქსია. რაღას უნდა მოველოდეთ ევროპის ეკონომიკური ერთიანობისაგან, თუ ბენილუქსი, რომელიც ყოველთვის ასეთი ერთიანობის პროტოტიპად მიაჩნდათ, ასე სამარცხვინოდ ჩაფლავდა“.

## სამოქალაქო წარმოების შეკვეცა ინგლისში

**ლონდონი, 29 აპრილი.** (საქდესი). 28 აპრილს მეტალურგიულმა კომპანიამ „სტილ კომპანი ოფ უელსმა“ ცნობა გამოაქვეყნა, რომ ვაჭრობაში მომხდარი შენელების შედეგად იგი იძულებულია დროებით დახუროს ფურცლოვანი რკინის სამი ქარხანა ლლანელში, ჰორსეინონსა და პონტარდოუში. „დეილი ჰერალდი“ იუწყება, რომ ამ ქარხნების დახურვის შედეგად 1.115 მუშა უმუშევარი დარჩება.



**სამაისო მილოცვა.** ფოტო-ეტიუდი **ვლ. ზარიძისა.**

## თბილისის თეატრების ახალი სპექტაკლები

მაისის დღესასწაულებისათვის თბილისის თეატრებმა მთელი რიგი ახალი სპექტაკლები მოამზადეს.

**გრიბოედოვის სახელობის თეატრმა** მაყურებელს უჩვენა რესპუბლიკის სახალხო არტისტის კ. მიუფკეს პიესა „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“, რომელიც შექმნილია პიტერ აბრახამსის რომანის მიხედვით „მეხის ბილიკით“.

ისევე როგორც რომანი, პიესა ამხილებს რასისტულ დისკრიმინაციას სამხრეთ აფრიკის კავშირში, უჩვენებს ეროვნული თვითშეგნებისა და განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდას ფერადკანიანი მოსახლეობის მშრომელ მასებში.

პიესა „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“ დადგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა რეჟისორმა ა. თაყაიშვილმა, მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. შტენბერგმა, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა რ. გაბიჩვაძემ.

მთავარ როლებს ასრულებენ ი. რუსინოვი, ნ. ბურმისტროვა, ნ. ქავორონკოვი, ტ. ბელოუსოვა, ბ. ვიაზემსკი, კ. მიუფკე და ა. სმირანინი.

* * *

**საინტერესო სპექტაკლები** მოამზადეს მოზარდ მაყურებელთა თბილისის თეატრებმა. მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა გ. ნახუცრიშვილის პიესა „ცეცხლის ხაზზე“. პიესის თემაა საქართველოს კომკავშირის ბრძოლა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა პერიოდში.

სპექტაკლი დადგმულია რეჟისორ გ. სულიკაშვილის მიერ, დეკორაციები შექმნა მხატვარმა შ. ჟორჟოლაძემ, მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კ. მეღვინეთ-უხუცესმა.

მთავარ როლებს ასრულებენ ა. კიკალეიშვილი, ა. გოგიბერიძე, ე. ჩაჩავა, ნ. ხორავა, ა. კაჭკაჭიშვილი, ვ. არეშიძე.

**დიდი ინტერესით ეკიდება** ახალგაზრდა მაყურებელი ტ. გაბეს პიესას „ლეგენდა ორი კუზიანის შესახებ“, რომელიც დადგა ლ. კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსულმა თეატრმა. პიესა დაწერილია ჰოლანდიური ლეგენდის მიხედვით. იგი მოგვითხრობს შუა საუკუნეთა ერთ-ერთი ქალაქის ბრძოლაზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

სპექტაკლი დადგეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. მარშაკმა და ახალგაზრდა რეჟისორმა ვ. ვოლგუსტმა, მხატვრულად გააფორმა ი. შტენბერგმა. სპექტაკლში მონაწილეობას იღებენ თეატრის წამყვანი მსახიობები.

**ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრმა** მაყურებელს უჩვენა სტალინური პრემიის ლაურეატის შ. აზმაიფარაშვილის ახალი ოპერეტა „რაც გინახავს ველარ ნახავ“ (ლიბრეტო პ. გრუზინსკისა, ა. ცაგარელის პიესის მიხედვით).

სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ჩხარტიშვილმა, მხატვრულად გააფორმა მ. გოცირიძემ, დირიჟორია კ. სირბილაძე.

მთავარ როლებს ასრულებენ: ვ. სალარიძე, მ. მაზმიშვილი, ა. ტურიაშვილი, თ. ხელაშვილი, თ. ბერძენიშვილი, ი. ქუთათელაძე, ე ჩოხელი, ტ. ბაკაკური, ა. მეწულიშვილი, მ. ხოფერია, დ. ვეკუა, ი. პაპაშვილი, ლ. ბეგლარიშვილი და სხვ.

## პიონერთა ბანაკები ემზადებიან სეზონისათვის

ახლოვდება ბავშვთა საზაფხულო დასვენების სეზონი. სწავლის დამთავრებისთანავე მშრომელთა ათასობით ბავშვი ზაფხულის განმავლობაში დაისვენებს პიონერთა ბანაკებში, ბავშვთა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

საქართველოში წელს მარტო პროფკავშირთა ხაზით იმუშავებს 100-ზე მეტი პიონერთა ბანაკი, რომლებშიც დაისვენებს 31 ათასზე მეტი მოსწავლე. ეს ბანაკები განლაგებულია საუკეთესო საკურორტო ადგილებში — მთებში, ზღვის პირას. პიონერთა საუკეთესო ბანაკები მოწყობილია ბაკურიანში, ქობულეთში, კოჯორში, გაგრაში, თეთრი წყაროს რაიონში. მარტო ქვემოთ ქვეშეთის რესპუბლიკურ ბანაკში წელს დაისვენებს 900 ბავშვი.

ამჟამად გაჩაღებულია მუშაობა ბანაკების მოსამზადებლად ბავშვთა მიღებისათვის. მიმდინარეობს შენობებისა და ავეჯის შეკეთება, სასპორტო მოედნების, საცურავი აუზების და სხვ. მოწყობა.

## ბრძანება თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი

**№ 17**

1953 წ. 29 აპრილი. ქ. თბილისი

§ 1.

1953 წლის 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს, ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

§ 2.

პარადს მიიღებს არმიის გენერალი ამხ. **ანტონოვი.**

§ 3.

პარადის სარდლობა მებრძანა მე.

§ 4.

პარადის დასაწყისი 9.00 საათზე მოსკოვის დროით.

§ 5.

პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები განსაკუთრებული გეგმით.

§ 6.

ტანსაცმლის ფორმა — **საპარადო.**

§ 7.

ჯარების დაწყობა ლ. პ. ბერიას სახელობის მოედანზე დამთავრდეს 8 ს. 30 წუთისათვის.

§ 8.

პარადის დროს წესრიგის დაცვის ხელმძღვანელობას ვაკისრებ თბილისის გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ ამხ. **ქუდიძეს** და ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსს პოლკოვნიკ ამხ. **ჭელიძეს.**

**თბილისის გარნიზონის უფროსი**
**გენერალ-მაიორი ჟუჟარაძე.**

## სპორტული შეჯიბრებანი დღესასწაულის დღეებში

თბილისის სტადიონებზე, სასპორტო მოედნებსა და დარბაზებში მაისის დღესასწაულის დღეებში გაიმართება მრავალი საინტერესო ასპარეზობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

○ 1, 2 და 3 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგება მორიგი კალენდარული შეხვედრები ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა“ და „ბ“ კლასების გუნდებისათვის. პირველ მაისს ითამაშებენ „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი), 2 მაისს — ოდო (თბილისი) — „სპარტაკი“ (აშხაბადი), 3 მაისს — „სპარტაკი“ (თბილისი) — ოდო (ტაშკენტი). შეჯიბრება დაიწყება 5 ს. 30 წ.

○ თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის კალათბურთის სტადიონზე (კიროვის სახელობის პარკი) 3 მაისს მოეწყობა საბჭოთა კავშირის და საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრება.

○ ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება საქართველოს უძლიერეს მძლეოსანთა შეხვედრები სხვადასხვა მანძილზე რბენაში, ხტომასა და ტყორცნაში. სარბენ ბილიკებზე და მძლეოსნურ სექტორებში გამოვლენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. დუმბაძე და ე. გოკიელი, სპორტის ოსტატი ლ. სანაძე და სხვები.

## სამაისო ექსკურსიები

პირველი მაისის დღესასწაულის დღეებში ათასობით მშრომელი დაისვენებს ქალაქგარეთ. ამასთან დაკავშირებით თბილისის საექსკურსიო ბაზა აწყობს ექსკურსიებს სხვადასხვა მიმართულებით.

2 მაისს თბილისის „ზღვაზე“ ექსკურსიას აწყობენ თბილისის მექანიკური ქარხანა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, უცხო ენათა ინსტიტუტი და ბევრი სხვა საწარმო-დაწესებულება.

2 და 3 მაისს მოეწყობა ექსკურსიები სტალინური მარშრუტით. ექსკურსიები მოეწყობა აგრეთვე გორში, მცხეთაში, სუხუმში და სომხეთის დედაქალაქ ერევანში. ექსკურსანტები წავლენ ავტობუსებითა და მატარებლებით.

## ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 23 აპრილის ბრძანებულებით დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება საქართველოს სს რესპუბლიკაში ქუთაისის და თბილისის ოლქების ლიკვიდაციის შესახებ.

**რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.**


**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

**1, 2, 3 მაისს**

**სეზონის დახურვა**

**პარადი—პროლოგი**

მიძღვნილი საპირველმაისო ზეიმისადმი

**მშვიდობისა და შრომის დღესასწაული**

სცენარი **დ. ნაცვლიშვილისა,** დადგმა **ვ. კობელისა.**

**დიდი სატირკო წარმოდგენა**

მონაწილეობენ: ჩინური ატრაქციონი **ვან ჩუ-ლის** ხელმძღვანელობით და ცირკის მსახიობთა მთელი შემადგენლობა.

დასაწყისი საღამოს 9 ს.

**2 და 3 მაისს**

**დღის ორ-ორი საბავშვო სადღესასწაულო წარმოდგენა**

დასაწყისი I—12 ს. II—3 ს.

ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენებზე არ დაიშვებიან.


## დედაქალაქის თეატრებში

**1 მაისს**

**რუსთაველის სახელობის** — დიადი მომავლისათვის; **მარჯანიშვილის სახელობის** — კოლმეურნის ქორწინება; **გრიბოედოვის სახელობის** — კიკვიძე; **სომხური დრამის** — ხევისბერი გოჩა; **მუსიკალური კომედიის** — როზ-მარი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ცეცხლის ხაზზე (აბონემენტი 37, 7 ს.); **სანიტარული კულტურის** — სიცოცხლის ტყე.

**2 მაისს**

**რუსთაველის სახელობის** — დიადი მომავლისათვის (დღისით), ახალგაზრდა მასწავლებელი (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — გაზაფხულის დილა (დღისით), მოძღვარი (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — კიკვიძე (დილა-საღამოს); **სომხური დრამის** — მოუსვენარი ადამიანები (დილა-საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები (დღისით), სასიძოები (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ალმასის საბადოები (აბონემენტი 11, 10 ს., აბონემენტი 20, 2 ს.), მესამე კურსის სტუდენტი (აბონემენტი 30, 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — გამოქცევა (11, 8 ს.); **სანიტარული კულტურის** — საამო საზრუნავი.

**3 მაისს**

**რუსთაველის სახელობის** — ახალგაზრდა მასწავლებელი (დღისით), არსენა (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის** — კოლმეურნის ქორწინება (დღისით), დაბრუნება (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის** — ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება (დილა-საღამოს). **სომხური დრამის** — მოუსვენარი ადამიანები (დილა-საღამოს); **მუსიკალური კომედიის** — რაც გინახავს ველარ ნახავ (დღისით), თბილისის ცის ქვეშ (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ცეცხლის ხაზზე (აბონემენტი 25, 10 ს., აბონემენტი 9, 2 ს.) გამოქცევა (აბონემენტი 23. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — გამოქცევა (11, 5 ს.): **სანიტარული კულტურის** — ჩვენი ახალგაზრდობა (დღისით), ვარდობის თვე (საღამოს).

**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 1 მაისს | ვ. დოლიძე — **ქეთო და კოტე** |
| 2 მაისს | დღის 12 საათზე ჟ. ბიზე — **კარმენი** საღამოს ლ. დელიბი — **ლაკმე** |
| 3 მაისს | დღის 12 საათზე ზ. ფალიაშვილი — **აბესალომ და ეთერი** საღამოს დ. თორაძე — **გორდა** (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით) |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.


რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3.57.61, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის კულტურისა და ყოფაცხოვრების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3 06-88 წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00774

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.